# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№38-39 (9869-9870) 2025 წლის 17 მარტი, ორშაბათი




## ერთმა ადამიანმა შეიძლება, იმდენი ნარკოტიკი შემოიტანოს, რომ 30 ადამიანი სიკვდილამდე მიიყვანოს!

13



4

## ელენე აბაშიძის 103-ე გაზაფხული

## თუ ყარტაყურტა პარტიებს და ენჯეოებს მოვსპობთ, ჩვენი პრობლემების 70-80 პროცენტი გაქრება!



3

საპროტესტო აქცია რუსთაველზე

ღია წერილი ხელისუფლებისათვის



6-7

## „მართალს ვიტყვი"...

ქართველები კავკასიური რასის წარმომადგენლები არიან, რომელმაც სათავე დაუდო თეთრკანიანი რასის წარმოშობას.

ფრიდრიხ ჰეგელი

## ქართული ეკონომიკური სკოლის კიდევ ერთი წარმატება



თეიმურაზ ბერიძე

5

## საურმაგ ღამბაშიძის პატივგება



გამოჩენილი მხატვარი ქართული კულტურის დიდი მოამაგე

16

# რაგბი ევროპა ქართული ტურნირია!




გუშინ გორჯადალოსნებმა მიხეილ მესხის სტადიონზე 46:28 ესპანეთი დასცეს და ზედიზედ მერვედ, სულ კი მეჩვიდმეტედ მოიხვეჭეს ტიტული, თუმცა პირველ ტაიმში დიდი ბრძოლა გადაიტანეს – 17:16.

აღსანიშნავია, რომ ბექა გორგაძემ 50-ე სანაკრებო კეპი მოიხვეჭა, ხოლო აკაკი ტაბუცაძემ ასევე 50-ე ლელო დადო მეტოქის ჩათვლის მოედანზე.

ტრიუმფატორებს მორიგი წარმატება გულითადად მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა და საქართველოს პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.





WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა
გუშინ, დღეს, ხვალ
№38-39. ორშაბათი, 17 მარტი, 2025 წელი



# „ალამუთის ციხე დაეცა!“

## კრიზისი ნაცმოძრაობაში

„ალამუთის ციხე დაეცა“, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი „ნაცმოძრაობის“ სათავო ოფისის შენობის გაყიდვას. **კახეთის გზატკეცილზე მდებარე ოფისი 3 მილიონ 200 ათას ლარად გაიყიდა. შენობის მყიდველი პარტიის ყოფილი წევრი დავით კირკიტაძეა.**




**ჩვენ ვიცოდით არა მხოლოდ ის, როგორ იწყება ასეთი ომები, არამედ ისიც, როგორ მთავრდება!** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

პაპუაშვილი ამგვარად გამოეხ-

## არაფერია მზის ქვეშ ახალი

მაურა ნატოს გენერალური მდივნის, მარკ რუტეს განცხადებას, სადაც მან აღნიშნა: **„ვფიქრობ, ნორმალური იქნებოდა, თუ ომი შეწყდებოდა და ევროპა და ამერიკა როგორღაც ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენდნენ ნორმალურ ურთიერთობებს რუსეთთან, მაგრამ ჩვენ ჯერ აბსოლუტურად არ ვართ იქ“.**

**„ჩვენ ვიცოდით არა მხოლოდ ის, თუ როგორ იწყება ასეთი ომები, არამედ ისიც, თუ როგორ მთავრდება. ისიც ვიცოდით, როდის აფენენ წითელ ხალიჩებს და როდის იღებენ. „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება. არაფერია მზის ქვეშ ახალი“ (ეკლესიასტე 1:9)“,** – წერს **პაპუაშვილი.**

# ევროპა ცივილიზაციური თვითმკვლელობის რისკის წინაშეა?!

**ვფიქრობ, ევროპა ცივილიზაციური თვითმკვლელობის რისკის წინაშე დგას,** – განაცხადა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეი დი ვენსმა.**



ტელეკომპანია **Fox News**-თან ინტერვიუში ჯეი დი ვენსმა აღნიშნა, რომ მას სურს აყვავებული ევროპის ხილვა, რომელიც პატივს სცემს თავის ხალხს.

**„მე ნამდვილად მჯერა, რომ ჩვენ ევროპასთან ბევრი საერთო გვაქვს. დიახ, ევროპელები ხანდახან მაღიზიანებენ და მათთან გარკვეულ საკითხებზე არ ვთანხმდები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დასავლური ცივილიზაციის აკვანია. ქრისტიანული ცივილიზაციის მთელი იდეა, რამაც ამერიკის შეერთებული შტატების დაარსებამდე მიგვიყვანა, ევროპაში ჩამოყალიბდა. კულტურული კავშირები, რელიგიური კავშირები – ეს ყველაფერი პოლიტიკურ უთანხმოებებს მიღმა გაგრძელდება“,** – განაცხადა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა.

**„მაგრამ ვფიქრობ, ევროპა ცივილიზაციური თვითმკვლელობის რისკის წინაშე დგას. ისინი ვერ ახერხებენ ან არ სურთ თავიანთი საზღვრების კონტროლი. ხედავთ, რომ (ახლა) ისინი ამის წინააღმდეგ გამოდიან და ეს კარგია. ხედავთ, რომ ისინი იწყებენ საკუთარი მოქალაქეების სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. მე მინდა, რომ ევროპა აყვავებული იყოს, მინდა, რომ ის იყოს მნიშვნელოვანი მოკავშირე, და ამის ნაწილი არის ის, რომ ევროპამ პატივი უნდა სცეს საკუთარ ხალხს, საკუთარ სუვერენიტეტს და ამერიკა ამას მათ ნაცვლად ვერ გააკეთებს“,** – დასძინა **ჯეი დი ვენსმა.**

# ბოკუჩავას ისევ პატიმარი მიშა ედარდება!



**„ნაცმოძრაობასა“ და პრეზიდენტ ზურაბიშვილს შორის გადაულახავ განსხვავებად დარჩება, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტ სააკაშვილის არშეწყალებაზე“**– ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **თინა ბოკუჩავამ** გუშინ განაცხადა.

**„ძლიერი, სუსტი თუ საშუალო კოორდინაცია და კოორდინაციის გრადაცია არ არის ჩემი აზრით ის რეალური მოლოდინი, რაც არსებობს საზოგადოებაში. ქვეყნის შიგნით კოორდინაციის რეალური შესაძლებლობა მდგომარეობს ერთიან ფრონტში, ერთიან სამომავლო სიაში, ერთიან პოლიტიკურ გაერთიანებაში.**

**თუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი იქნება ადამიანი, რომლის ირგვლივაც შეიქმნება ეს ერთობა, ვფიქრობ, ყველაზე რეალისტურია, ან თუ არ შედგა, ამ დისკუსიას უნდა დაესვას წერტილი და მე ასეთ თარიღად ყველაზე რეალისტურად წარმომიდგენია 31 მარტი. „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს, ჰქონდა და ექნება ყველაზე ცხადი, მტკიცე და გამოკვეთილი პოლიტიკური იდენტობაც და დღის წესრიგიც, ამაში არ მდგომარეობს პრობლემა, როცა საზოგადოების დაკვეთა გაერთიანებაა, ამას ადეკვატურად და გულწრფელად უნდა უპასუხონ პოლიტიკოსებმა“,** – განაცხადა ბოკუჩავამ.



## უკრაინულმა ჯარებმა კურსკის ოლქის ქალაქი სუჯა დატოვეს

**უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბი ადასტურებს, რომ უკრაინულმა ჯარებმა კურსკის ოლქში მდებარე ქალაქი სუჯა დატოვეს. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გაასაჯაროვა რუკა, რომელიც აჩვენებს, რომ უკრაინის ჯარები სრულად გავიდნენ რუსეთის ქალაქ სუჯადან.**

გენშტაბის ყოველდღიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბოლო 24 საათის განმავლობაში კურსკის მიმართულებით „19 საბრძოლო შეტაკება მოხდა“. სამხედროებმა განახორციელეს „34 საავიაციო დარტყმა, ჩამოაგდეს 63 მართვადი ბომბი და განახორციელეს 243 საარტილერიო შეტევა, მათ შორის ხუთი რეაქტიული საარტილერიო სისტემებიდან“...



## 9 თვე კოსმოსურ ტყვეობაში

**SPACEX-ის ხომალდი დედამიწაზე ამერიკელ კოსმონავტებს დააბრუნებს. SpaceX-ის კოსმოსური ხომალდი „ქრიუ დრეგონი“ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს წარმატებით მიუერთდა. ხომალდმა სადგურზე ეკიპაჟის 4 ახალი წევრი, ორი ამერიკელი, რუსი და იაპონელი ასტრონავტები აიყვანა.**

ამჟამად სადგურზე 11 ასტრონავტი იმყოფება. მისიის ფარგლებში დედამიწაზე დაბრუნდება სამი ამერიკელი და ერთი რუსი ასტრონავტი, მათ შორის, ბუჩ უილმორი და სუნიტა უილიამსი, რომლებსაც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე 8 დღე უნდა გაეტარებინათ, თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო სადგურში 9 თვე დაჰყვეს...

## მარკო რუბიო სერგეი ლავროვს ესაუბრა



**ამერიკის სახელმწიფო მდივანს მარკო რუბიოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ინფორმაციას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს.**

უწყების ცნობით, მხარეებმა ქვეყნებს შორის „კავშირების აღდგენის“ საკითხი განიხილეს. სახელმწიფო მდივანმა რუსეთს მიაწოდა ინფორმაცია ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტების წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო ოპერაციების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰუსიტების შემდგომი თავდასხმები ამერიკულ სამხედრო და კომერციულ გემებზე წითელ ზღვაში არ დარჩება პასუხგაუცემელი. რუბიომ და ლავროვმა ასევე განიხილეს შემდეგი ნაბიჯები საუდის არაბეთში მათი ბოლო შეხვედრების კონტექსტში და შეთანხმდნენ, გააგრძელონ მუშაობა შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის კავშირების აღსადგენად.

# მიხედეთ ვასო გოძიაშვილის ქუჩას!

**ბატონ კახი კალაძეს დიდ პატივს ვცემთ და თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვთ, ვაშლიჯვრის დასახლებაში ჩვეული ყურადღება მიაქციოს ვასო გოძიაშვილის ქუჩას, რომელიც სოფლის ორღობეს მოგაგონებთ.**

დაზიანებულია როგორც ასფალტის ნაწილი, ისე ბორდიურები და ტროტუარები, არადა სწორედ ამ ქუჩის N44-ში მდებარეობს სტრატეგიული დანიშნულების მქონე იფქლის პურის ქარხანა, საიდანაც პროდუქცია ექსპორტზეც კი გაუგზავნიათ...

ვიმედოვნებთ, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები გულთან ახლოს მიიტანენ ჩვენს სატკივარს და, ბოლოს და ბოლოს, მიხედავენ აღნიშნულ მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს.

პატივისცემით, ვასო გოძიაშვილის ქუჩის მობინადრეთა სახელით:

**გოგი ბრეგაძე, თამაზ ონიანი, შალვა ცხომარია, გურგენ აკოფოვი.**



## ილონ მასკიც „ჩვენი კაცია“

საქართველოს რესპუბლიკა



# თუ ყარტაყურტა პარტიებს და ენჯეოებს მოვსპობთ, ჩვენი პრობლემების 70-80 პროცენტი გაქრება!







**ვითარება გამწვავდა, დაიძაბა, ახალ რევოლუციაზე ლაპარაკს მოუხშირა ოპოზიციამ, გადაწყვეტილი აქვთ, 31 მარტისთვის რაღაც საბოლოოდ სულისამომხდელი გვაჯახონ, საამისოდ რევოლუციური ხელმძღვანელი ორგანოც შექმნეს. საერთო საკოორდინაციო ფრონტი. ყურადღება მიაქციეთ: არა ცენტრი, არა საბჭო, არა პლატფორმა, არამედ ფრონტი — რაღაც ძალიან დიდი, ძალიან ფართო, ძალიან მრისხანე!**

**ყველას მოგვისმენია ნატვრა, ღმერთო, ქართველებს ერთმანეთი შეაყვარეო! – არა და არ გამოდის ეს საქმე. ქართველებმა გაზალეთის ძმათა ომში ერთმანეთი არანაკლები სისასტიკით ჩეხეს, ვიდრე სპარსელები მარაბდის ომში. გაზალეთი ერთადერთი როდი იყო. შემთხვევითი არ არის ის უსაზღვრო სიძულვილი, რომელიც ამჟამინდელ საზოგადოებას ორად ჰყოფს.**

**აბა, მოუსმინეთ „სამიდღემჩიო" პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილის პოსტს პროტესტის 100 დღესთან დაკავშირებით: დღეს ქვეყანა ორად არის გაყოფილი. ერთ მხრესაა რეპრესიები, სიძულვილის ენა, შეურაცხყოფა, ცემა, დაუსრულებელი მუქარა, ხოლო მეორე მხარეს – ღირსება და სოლიდარობა. 100 დღე ურთიერთპატივისცემის, ზრდილობის, სოლიდარობისა და სიყვარულისა.**

**სწორედ ამაზეა ნათქვამი, ისე აგიშენდა ოჯახიო.**

ნიკა გვარამია კი გიორგი ბაჩიაშვილის გაქცევის გამო დიდად კმაყოფილი წერს, ბაჩიაშვილი გარეთ არის ჩვენთვის და ჩვენი სამშობლოსთვის სასარგებლო ინსტრუმენტი (რაც მეტს იხმაურებს, რაც მეტ ლაფს დაასხამს ხელისუფლებას – **ა.ა.**), ხოლო ციხეში არაფრის მომცემი მოცემულობა იქნებოდაო.

სირცხვილია, როცა ქართველი ხაროზს, ლაშა ტალახაძეს (?!) რომ სანქციას უწესებენ; სირცხვილია, როცა ხალხი საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ სხვა ქვეყნების სადამსჯელო მოქმედებას მიესალმებიან; სირცხვილია, როცა ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი პეტრე ცისკარიშვილი მოუთმენლად ელის, როდის მიიღებს აშშ სენატი გამანადგურებელ ზომებს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ (შეგახსენებთ: აშშ სენატში განსახილველად დარეგისტრირებული იყო „მეგობარი აქტი", სადაც ნათქვამია, რომ წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს „ივანიშვილის რეჟიმის" მცდელობას, დაუახლოვოს საქართველო ირანს, ჩინეთს, რუსეთს). ოღონდ, ამ აქტის განხილვა აშშ ადმინისტრაციის ახალი საგარეო კურსის გამო გადაიდო მარტის ბოლომდე... და, იმედია, სამუდამოდაც.

**მამუკა ხაზარაძე სამშობლოს სიძულვილს ვერ ნიღბავს: ჩვენ უნდა დავანახოთ ამერიკას ის ეკონომიკური ინტერესი, რაც შეიძლება მას ჰქონდეს საქართველოშიო. აქაოდა, ამერიკის ინტერესშია სასწრაფოდ დაბრუნდეს ანაკლიაში. ამერიკას სჭირდება ანაკლიის პორტი, რათა წვდომა ჰქონდეს ცენტრალური აზიის ნედლეულზეო, ანუ მთავარი ის კი არ არის, რა უნდა საქართველოს, არამედ ის, თუ ამერიკამ რა შეიძლება მიიღოს საქართველოსაგან.**

რუსთაველზე კი მხარდამხარ დგანან გოგონები, ბიჭები, ქალბატონები, ასაკოვანი მამაკაცები და ხმაშეწყობით მღერიან:

ცხოველებო, ნაბოზრებო,
თქვენი დედის ტ..ნის დროა!
ოლეეე, ოლააა..
ქოცების დედის ტ..ნის დროა!..

დაასრულებენ და ბედნიერებით გაბრწყინებულები შეჰხარიან ერთმანეთს. ისინი დიახაც რომ ბედნიერები არიან, რომ ერთნაირად სძულთ თავიანთი მოწინააღმდეგე თვისტომნი, თავიანთი თანატოლები, თავიანთი მშობლების თანატოლები. რატომ? ამაზე დალაგებით ვერაფერს გეტყვიან, სიძულვილით კი ნამდვილად სძულთ! ქართველები არიან და იმიტომ!

რატომ? როგორ?.. ძნელი სათქმელია! მაგრამ რაღაც სინათლეს მაინც ნახავთ „ქართლის ცხოვრებაში". გადაფურცლეთ ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა":

**„და მოკუდა ფარნავაზ და მის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ (ძვ. წ. . III ს. – ა.ა.).**

**მას ჟამსა შინა ზრახვა-ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს, არა კეთილ არს ჩუენდა, რაითამცა ჰვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყვნეთ ერთად და მოვკლათ ჩუენ საურმაგ და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ და მივსცემდეთ ხარკსა, ვინცა გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა განვისუენებთ.**

**დაამტკიცეს განზრახვაი და მოკვლაი საურმაგისა. ხოლო იგრძნა საურმაგ და წარვიდა ფარულად და ილტვოდა და წარიტანა თანა დედაი მისი და მივიდა დურძუკეთს (დურძუკები იყვნენ თანამედროვე ვაინახების-ინგუშების, ჩეჩნების, ქისტების წინაპრები – ა.ა.), დედისძმათა მისთა თანა.**

**მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა მამისა დისწულსა მისსა და ითხოვა შეწევნა. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისსა და საურმაგ შეკრიბა დურძუკეთს და წარემართა ქართველთა ზედა და ვერავინ წინააღუდგა მას, და დაიპყრა ყოველი ქართლი და მოსრნა განდგომილნი და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი, ხოლო გამრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისანი. და მეფობდა საურმაგ ბედნიერად მრავალთა წელთა".**

ხედავთ, ქართველთა დაპირისპირება საიდან მოდის? თანაც, რა მიზეზით! 23 საუკუნის წინარე ხანაში ქართლის ერისთავები მეფის წინააღმდეგ შეიკვრებიან, ჩვენთვის სასიკეთო არ არის, ვემსხურებოდეთ ჩვენს ნათესავს, თვისტომს, ერთად ვიყოთ თავისუფალნი, როგორც ერთ დროს ვიყავით და თუ გამოჩნდება ვინმე მძლე კაცი, ვაძლიოთ მას ხარკი. ასეთი ყოფით უფრო განვისვენებთო. ხედავთ? უცხოს, მოსულის, დამპყრობლის ბატონობა ურჩევნიათ, ხარკს გადაიხდიან და მოისვენებენ, ოღონდ თავისიანი არ გაჭაჭანდეს ქვეყნის საჭესთან.

არც კავკასიიდან გადმოშველებული ჯარით გამარჯვებულმა მეფე საურმაგმა, რომელსაც დამხობა და მოკვლა დაუპირეს, დააკლო ხელი: „დაიპყრა ყოველი ქართლი და მოსრა განდგომილნი, დაამდაბლა ქართლოსიანნი და წარჩინებულ და გამრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკსისანი".

ასე იყო წარმართულ ქართლში, ასე იყო შემდეგაც, ქრისტიანულ სამეფოში, ასე იყო სპარსობისას, თურქობისას, რუსობისას... აგერ, გუშინ არ იყო, ქართველები ზარბაზნებით რომ მიუხტნენ დედაქალაქის ცენტრში ზვიადს, მერე ტყე-ღრეში სდიეს, სანამ სული არ ამოხადეს!

„ჩვენ ვიცით, როგორ გავხადოთ საქართველო საინტერესო აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციისთვის" **(სალომე სამადაშვილი)**, „ჩვენ უნდა დავანახოთ ამერიკას ის ეკონომიკური ინტერესი, რაც შეიძლება მათ საქართველოში ჰქონდეთ" **(მამუკა ხაზარაძე)**...

ერთი სიტყვით, ჩვენმა ურაპატრიოტმა კაცებმა და ქალებმა იციან, როგორ უფრო სარფიანად გაიყიდება ჩვენი სამშობლო, ოღონდ ის კი აღარ იციან, მერე რაღას იქმენ, მერე რაღა დარჩებათ დახლზე დასადები, უდახლოდ კი გროში იქნება თვით მათი ფასი, როგორც ახლაა, სანამ გაუყიდიათ.

საერთოდ, სამშობლოს გაყიდვის იდეა ფრიად პოპულარული თემაა ჩვენი არჩევნებში გამარჯვებული პარტიებისთვის. და რათა ყველაზე მომგებიანად მიიყვანონ ეს საქმე ბოლომდე, პარტიები თანდათან ხვდებიან, რომ უმჯობესია ხელიხელჩაკიდებულებმა შეთანხმებულად იმოქმედონ, მით უფრო, რომ ამის თაობაზე მათ გამუდმებით უჩიჩინებს მოუშორებელი პრეზიდენტი, რომლის რეგლამენტს დასასრული არა აქვს და რომლის კომპეტენციაც უცხოელი მრჩევლების საეჭვო რჩევებზე ჰკიდია. სადღეისო სტრატეგიით, მაგალითად, გამარჯვებას მხოლოდ პარტიების გადახალისება, უფრო გამრავლება მოიტანს **თურმე...და სალომე ზურაბიშვილი ახალ პარტიათა ქადაგად დავარდა. ზუგდიდში ყოფნისას რომ გაამხილა პირველად ეს რევოლუციური სიბრძნე, აღარ გაჩერებულა. ახალი პარტიები და ახალი პარტიებიო! თითქოს ძველები გვაკლდეს. ის თუ იცით, რომ ამ ერთ ბოჯ ქვეყანაში 220(!) პარტია გვყავს სათანადოდ დარეგისტრირებული და ბეჭედდარტყმული. ჩვენში მთავარი სიძნელე სახელწოდების მოგონებაშია. რას არ შეხვდებით რეგისტრაციაში, რაგვარი პარტიები და მოძრაობები არა გვყავს: „ქიზიყი, უპატრონო ქვეყანა", „სამშობლოსათვის, სტალინისათვის", „ვაზი და ღვინო..." (არ გეგონოთ, ვხუმრობ, ან ვამლაშებ)...**

გუშინ თუ გუშინწინ „პრეზიდენტის" გულის გასახარად პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების მოედანი" იმავე სახელწოდების პარტიად გარდაიქმნა, რომლის თავმჯდომარის ლევან ცუცქირიძის თქმითაც, მიზანი „სახელმწიფოს დაბრუნებაა".

აქამდე „თავისუფლების მოედანი", როგორც მოძრაობა, კოალიცია „ძლიერ საქართველოში" („ლელო") შედიოდა. ეს გახლავთ იმის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ იქმნება პოლიტიკური პარტია პროტესტის მონაწილე აქტივისტების, ანუ „ქუჩის ხალხისაგან".

**აქციაზე მოსულ ადამიანებს შენი შეთქმული ბიჭები შეუსიე, სიები შეადგინე, მერე იმ სიებად შეკრულ ხალხს ცალკცალკე მოელაპარაკეთ შენ და შენი ბიჭები და სამშობლოს მხსნელი კიდევ ერთი პარტია მზად არის. მიზანი და პროგრამა, ისევე, როგორც სხვა პარტიებისა, ხალხისთვის ნათელია: ქვეყნის გასპეტაკება და აშენება! მაშ, როგორ? აქ ერთადერთი საშიშროებაა, პარტიაში შემსვლელმა მოზღვავებულმა ხალხმა ერთმანეთი არ გადაჯეგოს.**

მიზანდასახულებიანი „თავისუფლების მოედანი" ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ვნებას აღუძრავს მოქალაქეებს, როგორც კატას – ძეხვი. გამორიცხული არ არის მალე ვიხილოთ აქტივისტების კიდევ ერთი უბნურ-გეოგრაფიული ბომბი „პლატონას დუქანი", ან სულაც „ბუკიას ბაღი"...

ვითარება გამწვავდა, დაიძაბა, ახალ რევოლუციაზე ლაპარაკს მოუხშირა ოპოზიციამ, გადაწყვეტილი აქვთ 31 მარტისთვის რაღაც საბოლოოდ სულისამომხდელი გვაჭახონ, საამისოდ რევოლუციური ხელმძღვანელი ორგანოც შექმნეს. საერთო საკოორდინაციო ფრონტი. ყურადღება მიაქციეთ: არა ცენტრი, არა საბჭო, არა პლატფორმა, არამედ ფრონტი – რაღაც ძალიან დიდი, ძალიან ფართო, ძალიან მრისხანე!

**ამ ფრონტულ ჯახაჯუხში დედა შვილს არ აიყვანს. ახალი ძალები, პარტიები, მოძრაობები და არასამთავრობოებიც კი გახდება საჭირო (ის არასამთავრობოები, რომლებზეც ამას წინათ ამერიკის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ილონ მასკმა მისთვის ჩვეული მაქსიმალისტური გულახდილობით განაცხადა, უფრო სწორად ტყვიასავით ისროლა: „მერწმუნეთ, თუ არასამთავრობოებს მოვსპობთ, ჩვენი პრობლემების 70 პროცენტი გაქრება".), სადაც თავის სიტყვას (უთუოდ, მზაკვრულს) იტყვიან ეკებიც და ნინებიც...არც ის არის გამორიცხული, რომ იმ 31 მარტისთვის მოასწრონ და მტკიცედ დარაზმულმა გულშემატკივრებმა XXI საუკუნის ბობოქარი 25-იანი წლების უზარმაზარი ეროვნული გმირის მზია ამაღლობელის პარტია „სილაქი" აზიდონ სამზეოზე მძლავრი მხარ-მკლავებით...გვჯერა, რომ „სილაქი" საქართველოს დააბრუნებს ევროპის წიაღში, საიდანაც იგი ამოაგდო „ქართული ოცნების"ერის გამყიდველმა რუსოფილიამ! ...**



**ალეკო ასლანიშვილი**

# ელენე აბაშიძის 103-ე გაზაფხული

## საქართველო ოქროს საწმისის ქვეყანა



## GEORGIA LAND OF THE GOLDEN FLEECE

## დღეგრძელი თანამემამულენი
## LONG-LIVED COMPATRIOTS

 

მამა — გადასახლებული, დედა — დიასახლისი
Parents: father - exiled; mother - housewife-breadwinner



პატარა ელენე და ბაბო მუსიკოსი
Little Elene and her grandpa - educator-musician



ელენე — უნივერსიტეტის სტუდენტი
Elene - University student



ელენე და მისი და-ძმა
Elene, her sister and brother



ქაცხის სვეტი — 40 მ. პირველი სიმაღლე
Katskhi column - 40 m, the first height



ხვამლის კლდე-ქვაბული — 2002 მ.
Khvamli rock-cave - 2002 m.



უშბა — 4700 მ. ზ.დ. ამაღლებული სიმბოლო
Ushba - symbol of elevated relationship



## ელენე აბაშიძე 103 წლისაა

თქვენ წინაშეა ელენე აბაშიძე, 18.03.1922 დაბადებული ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 50-წლიანი მიზანმიმართული შრომით, 40 მეცნიერული ნაშრომისა და 13200 ექსპერიმენტის ანალიზის მიხედვით, მან შეისწავლა წყალსაცავების ფუნდამენტში არსებული კირქვების ნაპრალებში წყლის მოქმედების ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიური მექანიზმი; უარჰყო და რადიკალურად შეცვალა ორსაუკუნოვანი, მსოფლიოში გაბატონებული კირქვის ნაპრალების ზედაპირების ხსნადობის მცდარი მეთოდი და მოგვცა ახალი, როგორც კვლევის მეთოდი, ასევე მისი განზომილება. პლაკატში წარმოდგენილია იუბილარის ცხოვრების, თანამოაზრეებისა და სამეცნიერო თემატიკის ამსახველი სურათები.

## HEIEN ABASHIDZE 103 YEARS OLD

Meet Ms. Elene Abashidze (born March 18, 1922) a Georgian scientist and public figure, Doctor of Geology and Mineralogy. Through 50 years of purposeful work, analysis of 40 scientific papers and 13200 experiments, she has studied the hydrochemical and hydrodynamic mechanism of the formation of cracks in the carbonate rocks of the basin of reservoirs; she has also created a method of solubility and dimension of rocks, thus radically changing the erroneous theory of solubility that has prevailed in world science for two centuries.










### ნაშრომთა კატალოგი, გეოგრაფია და ქრონოლოგია

წარმოდგენილია მსოფლიოს 3 კონტინენტის, 8 ქვეყნის 10 ქალაქი, სადაც მისი შრომები ქვეყნდებოდა: თბილისი, საქართველო, 1946–2021; მოსკოვი, პერმი, ლენინგრადი, რუსეთი, 1961–92; ლიუბლიანა, სლოვენია, 1965; შტუტგარტი, გერმანია, 1969; ოლომოუსი, ჩეხეთი, 1973; ტაშკენტი, უზბეკეთი, 1979; კემბრიჯი, ინგლისი და როლი, აშშ, 1998–2003.



საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება

საქართველო, კავშირი „გიორგი", 2021
593 512 747. E-mail: giorgiunion@gmail.com



ალექსანდრე ჯანელიძე



ალექსანდრე ჯავახიშვილი



ლევან მარუაშვილი



იოსებ ბუაჩიძე



ალექსანდრე ჯაფარიძე



ლევან გოთუა



ლია ანდღულაძე



მიხეილ გაგოშიძე



მორიგი ექსპერიმენტი
Another experiment




პატრიოტის მოწოდება
The call of a patriot



კოლხეთის ნაკრძალი
Kolkheti Nature Reserve



შაორის წყალსაცავი
Shaori Reservoir



ჯვარის (ენგურის) წყალსაცავი
Jvari (Enguri) Reservoir

# ქართული ეკონომიკური სკოლის კიდევ ერთი წარმატება



**(თეიმურაზ ბერიძე. „საქართველოს გარდამავალი პერიოდის სამი ათეული წელი“. თბილისი, „უნივერსალი“, 2025. — 189 გვ. — ინგლისურ ენაზე)**




**საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ფაქტობრივად სახელმწიფოებრივი აღდგენის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა, რის გამოც ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამაც რამდენიმე მნიშვნელოვანი, პრინციპულად ახალი ნიშნებითა და კანონზომიერებებით გამორჩეული ეტაპი გაიარა.**

**პირველ ეტაპზე სწრაფად და ხშირად უსისტემოდ ხდებოდა იმ ძირითადი ცნებების, კატეგორიების, სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების გადმოღება და ადაპტირება ქართულ რეალობასთან, რითაც ზოგადად ხასიათდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკა.**

**მეორე ეტაპზე ქართული ეკონომიკური მეცნიერება შეუდგა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მიმდინარე და ხშირად წინააღმდეგობრივი პროცესების დახასიათებას იმ სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რაც საქართველოში შეინიშნებოდა და შეინიშნება.**

**მესამე, თანამედროვე ეტაპზე, რომელსაც უკვე შეიძლება თამამად დაერქვას ქართული ეკონომიკური აზრისა და შეხედულებების საერთაშორისო ექსპანსიონიზმი, ქართველი ეკონომისტები არა მარტო „მსოფლიო სტანდარტების დონეზე“ ახდენენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კომპლექსურ, „სპექტრულ“ ანალიზს, არამედ თამამად უსვამენ დიაგნოზს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებსაც და იძლევიან რეცეპტს ეროვნული თუ გლობალური ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროსა და ასპექტის ხაზით პოზიტიური ტენდენციების ჩამოსაყალიბებლად და გასაძლიერებლად.**

**ეკონომიკური მეცნიერების სწორედ ამ ეტაპისათვის დამახასიათებელ ნაშრომს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის თეიმურაზ ბერიძის ინგლისურ ენაზე გამოცემული მონოგრაფია „საქართველოს გარდამავალი პერიოდის სამი ათეული წელი“. მასში მაღალ აკადემიურ დონეზეა გადმოცემული იმ პრობლემებისა და გამოწვევების მთელი პალიტრა, რასაც აწყდებოდა საქართველოს ეკონომიკა ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველი ნაბიჯები, თავისებურებები, ე.წ. „შოკური თერაპია“, ეკონომიკური რეფორმების სირთულეები, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში კოლაფსის შემდეგ ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ფაქტობრივი აღდგენისაკენ გადადგმული ნაბიჯები...), შეფასებულია მიღწეული წარმატებებიცა და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებიც.**

კარგადაა ცნობილი, თუ რა უკიდურესად მძიმე, წინააღმდეგობრიობით აღსავსე ვითარებაში მიმდინარეობდა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა — ამგვარი გადასვლის აპრობირებული, კლასიკური, ყველა ქვეყნისათვის ერთნაირი და მისაღები მოდელის არარსებობის გამო წარმოქმნილ სირთულეებს აძლიერებდა და ართულებდა დრამატული პროცესები, სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირებები საქართველოს ორ ისტორიულ რეგიონში. ამიტომაც იყო, რომ **ეკონომიკის ვარდნა საქართველოში გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე რომელიმე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.** ბატონი თეიმურაზ ბერიძე მეცნიერული კეთილსინდისიერებით იძლევა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას წარმოქმნილი პრობლემების დახასიათებას, მდიდარი სტატისტიკური მასალის მოშველიებით წარმოგვიჩენს ჩვენი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკას ამ პერიოდში.

ნაშრომში ობიექტურადაა აღწერილი გარდამავალი პერიოდის ბუნება, მთავარი მაკროეკონომიკური ტენდენციები, ფულად-საკრედიტო სისტემა, მთლიანად მისი თავისებურებანი და პერიოდიზაცია საქართველოში, სახელმწიფოს ინდუსტრიული პოლიტიკა და სავაჭრო რეჟიმი, პრივატიზაციის პროცესის თავისებურებანი და მისი მაკროეკონომიკური შედეგები. ავტორი არ ერიდება ისეთი თემის განხილვასაც, როგორიცაა დაუკვირვებადი ეკონომიკა, მისი დარგობრივი (მრეწველობა, მშენებლობა, მომსახურება...) პროფილი, ასახვა აღრიცხვიანობის თანამედროვე სისტემაში. მისი ყურადღების მიღმა არ რჩება აგრეთვე კორუფციასთან დაკავშირებული საკუთრების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები, ჩამოყალიბებული აქვს დანაშაულისა და სასჯელისადმი ეკონომიკური მიდგომის პრინციპები.

უცხოელი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს მიიპყრობს მონოგრაფიის ის ნაწილები, რომლებიც ეძღვნება **ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის პროცესში ჩართული საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებისა და ეროვნული ეკონომიკის მოდელის დახასიათებას, ამ უკანასკნელის დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესთან.** გლობალურ ეკონომიკაში ჩართვისაკენ აუცილებელ და გარდაუვალ გზად მეცნიერი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს მიიჩნევს.

მონოგრაფია იძლევა შესაძლებლობას, მკითხველი დაარწმუნოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მაქსიმალურ ღიაობასა და მზარდ პოტენციალში. ავტორი ერთმნიშვნელოვნად ავითარებს თეზისს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე ეროვნული მეურნეობის საბაზრო რელსებზე ტრანზიტისათვის აუცილებელი რეფორმების წარმატებით განხორციელებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ამ ასპექტით, ავტორი გამოყოფს ფაქტორთა 3 ჯგუფს, რომლებსაც განსაკუთრებული როლი გააჩნიათ საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში: ა) მიწოდების ფაქტორები (ბუნებრივი რესურსები, შრომითი რესურსები, ძირითადი კაპიტალის მოცულობა, ტექნოლოგიები); ბ) მოთხოვნის ფაქტორები (ერთობლივი ხარჯების მოცულობა); დ) განაწილების ფაქტორები (რესურსების ეფექტური გამოყენება). აღნიშნავს თითოეული მათგანის როლს საერთო შედეგის მიღწევასა და ეროვნული მეურნეობის წინსვლაში.

**ეკონომიკური წინსვლისათვის, ზრდისთვის საჭირო პოზიტიურ ფაქტორთა შორის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეფექტიან სამრეწველო, ინდუსტრიულ პოლიტიკას და სავაჭრო რეჟიმს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ხოლო ამ პროცესის წარმატების პირობად — მოსახლეობის განათლების დონესა და საზოგადოებაში არსებულ სამეწარმეო სულისკვეთებას. ხაზგასმულია აღნიშნულ ფაქტორთა კავშირი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდასა და სიღარიბის შემცირებასთან.**

ეკონომიკა — ეს ადამიანთა მიზანმიმართული რაციონალური ქმედებაა შეზღუდული რესურსების გამოყენებით. ამიტომ ამ რესურსების მოქმედებაში მომყვანი ადამიანების — სამუშაო ძალის — რაოდენობაზე, მწარმოებლურობაზე, უნარ-ჩვევებსა და ეფექტიანობაზე დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი პროგრესი და კეთილდღეობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს კვალიფიციური შრომის მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზს, შრომის ბაზრისათვის შესაბამისი კადრების მომზადების საკითხებს.

მონოგრაფიის ავტორი არა მარტო თანამედროვე ქართული ეკონომიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია, არამედ მის ბიოგრაფიას ამშვენებს სტატისტიკური სამსახურის ხელმძღვანელობა ყველაზე რთულ, დრამატულ და ამავე დროს, უაღრესად საინტერესო პერიოდში, როდესაც ხდებოდა სტატისტიკის რეორგანიზაცია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და პრინციპების შესაბამისად. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და მონიტორინგის ორგანიზების გამოცდილება ეხმარება მას ეკონომიკაში (და არა მარტო საქართველოს მასშტაბით) მოვლენები და პროცესები შეაფასოს კომპლექსურად, მათ მიზეზშედეგობრივ კავშირში.

**უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონოგრაფია უცხოელი მკითხველისთვის ორმაგადაა საინტერესო და საყურადღებო: ჯერ ერთი, იძლევა წარმოდგენას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე დონეზე და მეორე მხრივ, როგორც ინგლისურ ენაზე შესრულებული ნაშრომი, სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის უცხოელ მკითხველს საქართველოს ეკონომიკის რეალურ მდგომარეობაზე, მის პოტენციალზე, სამართლებრივ და საინვესტიციო ფონზე, არსებულ პრობლემებზე, მათი დაძლევის გზებსა და შესაძლებლობებზე და ამით საქმიანი ურთიერთობების დაჭერის მსურველ ბიზნესმენებისა და ინვესტორებისათვის ფაქტობრივად წარმოადგენს იმ სარეკლამო ბუკლეტს, რომელიც იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას საქართველოში არსებულ ვითარებაზე. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ნაშრომი წარმატებით ასრულებს თავის ძირითად ამოცანას: მოუხსნას უცხოელ მკითხველს, ბიზნესის სფეროს წარმომადგენელს, პოტენციურ ინვესტორს წარმოდგენა, ბინდა კომპლექსი ჩვენს ქვეყანაზე, როგორც „ტერა ინკოგნიტოზე“, სთავაზობს უფრო თამამად შეაღონ საქართველოს ეკონომიკის, როგორც ახალი შესაძლებლობებისა და წარმატების ობიექტის კარი, დაუკავშირონ ჩვენს ქვეყანას საკუთარი პროფესიული, კომერციული თუ საინვესტიციო მიზნები თუ ინტერესები.** ამით აღნიშნული ნაშრომი წარმატებით ასრულებს თავისებური „ნავიგატორისა“ და „საგზაო რუკის“ როლს აღნიშნული კატეგორიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებისათვის.

საგულისხმოა, რომ მონოგრაფიას წამძღვარებული აქვს აშშ-ის სენატის გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტის ყოფილი უფროსი ეკონომისტის, ოტავას უნივერსიტეტის პროფესორის დოქტორ გორდონ ლ. ბრედის წინასიტყვაობა, რომელშიც მაღალ შეფასებებს აძლევს ქართველი პროფესორის როგორც აღნიშნულ მონოგრაფიას, ისე მის მიერ ადრინდელ პუბლიკაციებსაც.

ეკონომიკური მეცნიერება ერთი შეხედვით, არამატერიალური სიმდიდრის ნაწილია, თუმცა სწორედ მისი ხედვებით, დასკვნებით და რეკომენდაციებით ხორციელდება მატერიალური სიმდიდრის წარმოების პროცესის დაჩქარება და ცივილიზაციური წინსვლა. ამ ასპექტით, ბატონ თეიმურაზ ბერიძის ნაშრომი, საზღვარგარეთულ აუდიტორიასთან ერთად, საგულისხმო შენაძენია ადგილობრივი მკითხველთათვისაც—მათთვის, ვის ინტერესის საგანს წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა, მათ შორის მათთვისაც, ვინც აყალიბებს და ხორცს ასხამს ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პოლიტიკას.



**იოსებ არჩვაძე,**
ეკონომიკის დოქტორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი

## ისტორიაში პირველად ოქროს ფასმა 3 000 დოლარს გადააჭარბა!

**ძვირფას ლითონზე მოთხოვნა გლობალური სავაჭრო ომის გავლენით გამოწვეული ეკონომიკური გაურკვევლობის ფონზე იზრდება. ოქროს ღირებულებამ 13 მარტს რეკორდულ ნიშნულს მიაღწია – 3,004.86 დოლარს უნციაზე.**

**ოქროს ფასმა 2025 წლის დასაწყისიდან დღემდე 14%-ით მოიმატა.**

**„ბიბისის“ ცნობით, ოქრო ინვესტორებისთვის უსაფრთხო აქტივად ითვლება და ეკონომიკური არასტაბილურობის პერიოდებში მასზე მოთხოვნა იზრდება.**

**ანალიტიკოსების შეფასებით, ოქროს გაძვირება ნაწილობრივ აშშ-სა და მის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის დაძაბულობას უკავშირდება.**

**ოქროს გაძვირების კიდევ ერთ ფაქტორად ეროვნული ბანკების მიერ ოქროს შესყიდვა სახელდება, თუმცა ამის ზუსტი მიზეზების განსაზღვრა რთულია. „ბიბისის“ მიხედვით, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, იყოს რეზერვების ამერიკული დოლარისგან დივერსიფიცირების სურვილი.**

ბატონებო!

ამ ღია წერილის სათაურად ჩემი მეგობრის, ახლა ზეციური საქართველოს ბინადრის, საქართველოს მკლავმოუღლელი სარანგის თამაზ წივწივაძის ბრწყინვალე წერილისა და წიგნის სათაური გამოვიყენე. მან კი იგი გენიალური დავით გურამიშვილისგან აიღო და, ვფიქრობ, არც დიდი კრიტიკოსი და არც მე პლაგიატორად არ ჩავითვლებით.



**თითქმის ყველა მეფეს ჰყავდა სამეფო კარის მასხარა, ვინც, არცთუ სახარბიელო სტატუსის მიუხედავად, ერთობ გონიერი ადამიანები იყვნენ**

## ღია წერილი ხელისუფლებისათვის

# „მართალს ვიტყვი“...

**ბატონებო! მეფეებს, ჩვენშიც და სხვაგანაც, სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა. ნაზირ-ვეზირთა მოვალეობა მხოლოდ ქება-დიდება და მბრძანებლობის თაყვანისცემა იყო. გონიერმა მეფეებმა, ცხადია, იცოდნენ, რომ შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია და თუ ვინმე მეფეს მართალს არ ეტყოდა, მისგან შეცდომის დაშვება გარდაუვალი იყო, რაც კარგს არაფერს მოუტანდა სამეფოს. ამიტომ იყო, რომ თითქმის ყველა მეფეს ჰყავდა სამეფო კარის მასხარა, ვინც, არცთუ სახარბიელო სტატუსის მიუხედავად, ერთობ გონიერი ადამიანები იყვნენ. ნაზირ-ვეზირები ლაღობდნენ მასხარას გადაკრულ საუბრებზე, მეფე კი გულდასმით უსმენდა მას და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა.**

დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენს ხელისუფლებაში არავინ ჩანს ისეთი, რომელიც თქვენს პოლიტიკურ, თუ სხვა სახის შეცდომებზე საჯაროდ გამოთქვამს კრიტიკულ აზრს და ალტერნატიულ პოზიციასაც დაანახვებს ხალხს. დემოკრატიულ ქვეყნებში, ამ მიზნით, ოპოზიცია არსებობს პარლამენტში და მის გარეთ, მაგრამ თქვენს პარლამენტში, არც ახლანდელში და არც წინა მოწვევისაში ოპოზიცია არ არსებობს. თქვენი შეფასებით (ჩვენი აზრითაც) ოპოზიციაში არიან მხოლოდ მავნებლები, ქვეყნის მოღალატეები, უცხოელი აგენტები, რომლებიც ცდილობენ ქვეყნის ჩამოქცევა-განადგურებას.

მერე, ვისი ბრალია ეს? თქვენმა ერთ-ერთმა ლიდერმა რომ ბრძანა წინისწინა არჩევნების წინ – შუა უნდა გაიკრიფოსო, რას გულისხმობდა ნეტავი? იმას ხომ არა, რომ პარლამენტში არ უნდა ყოფილიყვნენ ისეთი ეროვნული ძალები, როგორებიც იყვნენ პატრიოტთა ალიანსი, ჯონდი ბაღათურიას „ქართული დასი“, კახა კუკავასა და ლევან ჩაჩუას პარტიები. შუა გაიკრიფა და პარლამენტში დარჩა „მთავარი ოპოზიციური პარტიის“ საპატიო წოდებამინიჭებული ნაციონალური მოძრაობა ანუ „ნაცები“.

ან ის ვთქვათ, ვინ ამჯობინა ვიღაც ლომჯარია, ჭკუით გაპენტილ და ზნეობით აღვსილ დიმიტრი ლორთქიფანიძეს? ან ის არ არის კურიოზი, როდესაც აზრად არავის მოუვიდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მოეწვიათ ან მინდია უგრეხელიძე, ან ზურაბ აბაშიძე, ან ლადო ჭანტურია დიპლომატიური გამოცდილების მქონე და დიდად განათლებული კაცები, ან პოლიტიკური პროცესების ღრმად მცოდნე ვალერი კვარაცხელია. სად გამოჩხრიკეთ ის არაქართული აზრისა და მრწამსის, ქართული გვარის მატარებელი სამგლე (უჰ, სალომე!) ზურაბიშვილი?

**თქვენი დღევანდელი პოზიცია ძირითადად მომწონს და გაქებთ ამისათვის, მაგრამ ის სერიოზული შეცდომები, რომელიც დაშვებული გაქვთ, ძალიან გამძიმებთ და იმის ხშირად გამეორება, რომ გარეძალების ზეწოლის შედეგია ეს, ტვირთს ვერ შეგიმსუბუქებთ. ახლა იმას უნდა ცდილობდეთ, რომ ის შეცდომები გულწრფელად აღიაროთ და გაემიჯნოთ მას!**

მე რამდენიმე სერიოზულ შეცდომაზე მიგითითებთ დიდი გულისტკივილითა და სინანულით, მხოლოდ მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით!..

### 1. „ყულფი“.

**საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილი მუხლები იმის თაობაზე, რომ ქართველი ხალხის უზენაესი მიზანია „ნატოსა“ და „ევროკავშირში“ გაწევრება, დიახ. დიახ, გაწევრება და არა გაწევრიანება!, რადგან ჩვენი ერი საუკუნეების განმავლობაში ევროპისკენ მიილტვოდა და თავს ევროპის ცივილიზაციის ნაწილად მიიჩნევდაო! ეს თუ მართლა გჯეროდათ, ის არ იცოდით, რომ ევროკავშირში შესვლა გულისხმობდა გენდერული თანასწორობის აღიარებას, ლგბტ აღლუმებისა და პრაიდების ჩატარების უზრუნველყოფას, კაცის კაცთან ქორწინების დაკანონებას, ერების აღრევას და მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას? თუ არ გჯეროდათ, შარლ მიშელის ცხრა თუ თორმეტპუნქტიანი საშინაო დავალების შესრულებისათვის რატომ ირჯებოდით?**

**ეს კონსტიტუციური ნორმა არის ის ყულფი, რომელშიც საქართველოს თავი აქვს გაყოფილი!**

ან ის ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეთ, არ იცოდით, რომ მისი შეუსრულებლობისთვის იმ ოჯახის უფროსები დაგსჯიდნენ, რომელი ოჯახის წევრობის კანდიდატობაზეც ამდენს ირჯებოდით და კანდიდატობა რომ მიიღეთ, ზარზეიმი გაგვიმართეთ ჩვენ, მომავალ ევროპელებსა თუ უკვე კაი ხნის ევროპელებს.

მე მაშინ წერილი გამოვაქვეყნე (ორ ავტორიტეტულ გაზეთში) და შეგახსენეთ ყველას, რომ ჩვენ ევროპელები არ ვართ და არც ევროპული ცივილიზაციის თანაშემოქმედები. **ჩვენ კავკასიურ რასას წარმოვადგენთ და, ჰეგელს თუ რამე დაეჯერება, სწორედ მას აქვს ნათქვამი, ქართველები კავკასიური რასის წარმომადგენლები არიან, რომელმაც სათავე დაუდო თეთრკანიანი რასის წარმოშობასო.** თქვე კაი ხალხო, საქართველოს უბედური პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ნათქვამი – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ – დაიჯერეთ და დიდი მოაზროვნის – ჰეგელისა არა?

**ახლა ხშირად იმეორებენ, იერუსალიმის გასათავისუფლებლად მოწყობილ ჯვაროსნულ ლაშქრობაში დავით აღმაშენებელმაც გააგზავნა ქართველთა რაზმიო, რაც ევროპისკენ მის მისწრაფებებზე მეტყველებსო, დიდი შეცდომაა, ბატონებო ეს ან უფრო მეტია...**

**ისტორიისა და გეოგრაფიის ელემენტარული ცოდნით, იერუსალიმი ევროპაში არ არის! ევროპელი (უფრო კი ინგლისელი) ჯვაროსნები იერუსალიმის განძის დასაუფლებლად მიდიოდნენ, ქრისტეს საფლავის გათავისუფლება მხოლოდ გაცხადებული საბაბი იყო. დავით მეფემ, ღრმადმორწმუნე ქრისტიანმა სწორედ მაცხოვრის საფლავის გათავისუფლების მიზნით გააგზავნა იქ ქართული ჯარის მამაცი მეომრები(!) და არა ევროპული მისწრაფებების გამო.**

**ეს არის სიმართლე!**



**ჩვენ კავკასიურ რასას წარმოვადგენთ და, ჰეგელს თუ რამე დაეჯერება, სწორედ მას აქვს ნათქვამი, ქართველები კავკასიური რასის წარმომადგენლები არიან, რომელმაც სათავე დაუდო თეთრკანიანი რასის წარმოშობასო.**

სამწუხაროდ, იმის შემდეგ, რაც ევროკავშირის ჭეშმარიტ მიზნებში კარგად გაერკვიეთ და აბსოლუტურად სწორი ნაბიჯების გადადგმა დაიწყეთ, ამით ღირსეული კაცების სახელიც განიმტკიცეთ იგივე ევროკავშირის ღირსეულ წევრებს შორის (რამდენიმე ევროპოლიტიკოსის თვალში!), ის ყულფი, რომელიც საკუთარი ხელით გამონასკვეთ, არსად გამქრალა, რადგან ბოლომდე სიმართლეს ვერ ამბობთ. იმის თქმა, რომ „ჩვენი ღირსებით, ჩვენი ტრადიციებით, იდენტობით, სარწმუნოებით, თავაწეულები შევალთ ევროპულ ოჯახში“, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, სრულიად უპერსპექტივოა. ამის დასტური იყო ევროპარლამენტის ის რეზოლუცია, რომელიც 405 კაცის თანხმობით მიიღეს 13-ის წინააღმდეგ. ის ცამეტი იყო თქვენს მხარეზე. აბა, მითხარით, როგორი თავაწეულები შეხვალთ ევროკავშირში? ამერიკის ახალი პრეზიდენტი დაგეხმარებათ, თუ საააკაშვილივით ღამით შევარდებით იქ, როგორც ის ფსიქოპათი შეიჭრა ცხინვალში?

გამოსავალი ის არის, ჩემო კეთილებო, რომ გადაჭრით და პრინციპულად უარი თქვათ იმ არჩევანზე, რაც კონსტიტუციაში დააფიქსირეთ.

### 2. სტრატეგიული მეგობრების შესახებ

**ბატონებო! უკვე ათ წელზე მეტია აშშ-სთან სტრატეგიულ მეგობრობაზე გველაპარაკებით. ნახევარი საქართველო, ალბათ, კიდეც დაარწმუნეთ ამაში. თქვენ განათლებული ადამიანები ხართ და იცით, რომ ეს პიტალო სიცრუეა და ვინც ამაში დარწმუნდა, მან ან სტრატეგია არ იცის, ან სტრატეგიულ მეგობრობაზე არ აქვს წარმოდგენა.**

ინგლისელ ლორდს და ლეგენდარულ პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს აქვს ნათქვამი: **„ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები“**-ო. თქვენ არ შეიძლება არ იცოდეთ ეს! ხალხის ნაწილმა ეს არ იცის, მაგრამ, ისიც არ იცის, რომ ბეღურა არწივის სტრატეგიული მეგობარი არ და ვერ იქნება! აბა, აშშ გამონაკლისია? „ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი – დამღუპველი“. ეს სენტენცია ამერიკის კონტინენტზე შეიქმნა, მის ახლო თუ შორეულ სამეზობლოში, აზიასა და აფრიკაში კი არა.

### 3. ცალმხრივი მეგობრობის შესახებ.

**ცალმხრივი სიყვარული არსებობს, ცალმხრივი მეგობრობა – არა! მეგობრობა სიყვარულს გულისხმობს. აბა, კაცი თუ გძულს, მისი მეგობარი როგორ იქნები?! როდესაც უკრაინის ხელისუფლებამ არამეგობრული კი არა, აშკარა მტრობა გამოუცხადა საქართველოს, თქვენ ბრძანეთ და ახლაც იმეორებთ, უკრაინასთან ცალმხრივ მეგობრობას განვაგრძობთო.**

უკრაინის ხელისუფლებამ არა მარტო მტრობა გამოგვიცხადა, არამედ უპრეცედენტო შეურაცხყოფაც მოგვაყენა. ჩვენგან გაქცეული კრიმინალური დამნაშავენი უკრაინამ არა მარტო შეიფარა, მაღალ თანამდებობებზეც დანიშნა; ყოფილი დამნაშავე პრეზიდენტი ოდესის გუბერნატორად დანიშნა. ბევრი მათგანი ახლაც დიდად მნიშვნელოვან პოსტებს იკავებენ და იქიდან მავნებლობენ თავიანთი ე.წ. სამშობლოს წინააღმდეგ.

**ცალმხრივი მეგობრობა ერთგულებას გულისხმობს. ასეთი მეგობარი ანუ ერთგული შეიძლება იყოს მონა მონათმფლობლის მიმართ, ყმა ბატონის მიმართ. თქვენ**

საქართველოს რესპუბლიკა

**დღეს რაც მსოფლიოში ხდება, არც გეოპოლიტიკური ინტერესებით არის გამოწვეული, არც ცივილიზაციათა, თუ კულტურათა შეჯახებით, არც ტერიტორიათა ახალი გადანაწილების სურვილით. ეს არის ბოროტის ბრძოლა სიკეთის წინააღმდეგ, რაც წმინდა წერილებშია ნაწინასწარმეტყველები. ისიც ნაწინასწარმეტყველებია, რომ ამ ბრძოლის ბოლო ჟამია დღეს.**



**მეტყვით, როგორც არაერთხელ გითქვამთ: ჩვენ ომში მყოფი უკრაინელი ხალხის მეგობრებად ვრჩებითო. ჯერ ერთი, უკრაინელები ისეთივე რუსები არიან, როგორც რუსეთელი რუსები, ისევე, როგორც გურულები და კახელები არიან ქართველები. უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი და სხვა ლენინმა გამოიგონა, რომელსაც რუსეთის დაშლა ჰქონდა დასახული მიზნად. რომ არა სტალინის დიდი ძალისხმევა, ყველა ავტონომიური ოლქი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა, მათ შორის საქართველოშიც. აქ მხოლოდ ის მოხერხდა, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება მოასწრეს, რომელიც სტალინმა 1927 წელს გააუქმა.**

ევროპა და ამერიკა გაავსო მდიდარი უკრაინელების ვოიაჟებმა ევროპასა და ამერიკაში. ყველაზე დიდ ფულს ისინი ხარჯავენ, ყველაზე ძვირფასი მანქანებით მოძრაობენ და ფეშენებელურ სასტუმროებში ცხოვრობენ, ყველაზე ძვირ რესტორნებში ღრეობენ.

როდის იყო უკრაინელი ხალხი ჩვენი მეგობარი? თუ რუსეთის ნაწილი რომ იყო, იმ პერიოდს გულისხმობთ, როდესაც დავით გურამიშვილი ცხოვრობდა მირგოროდის ოლქის სოფელ ზუბოვკაში, მაშინ სხვა საქმეა, თორემ ახლა ის ლტოლვილი უკრაინელები, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის ხარჯზე, მათზე მეტ პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან, ჩვენი კი არა, თავიანთი თავის მეგობრებიც არ არიან!

არ არის ასეთი პოლიტიკა და რიტორიკა სასარგებლო. მეტიც, საზიანოა მეტად. დათა თუთაშხიასი არ იყოს, ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა სწორედო რომ თქვა, ისე იქნება აქაც!

## 4. რუსოფობია მომაკვდინებელი პანდემიაა

**მისი გამომწვევი ვირუსი, არაერთგზის მითქვამს, უვიცობაა, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული წარსულისა. ჩვენში ბევრმა, სამწუხაროდ, დაივიწყა დიდი ილიას ანდერძი-შეგონება: „ერის პირქვე დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა იგი თავის ისტორიულ წარსულს ივიწყებს“. რუსოფობია სწორედ ასეთი ვირუსით არის გამოწვეული, რომელმაც, სხვა მხრივ, კარგად განათლებული ადამიანებიც დააავადა.**

ვინც ისტორიული წარსული კარგად იცის, ბულინგის შიშით ხმას ვერ იღებენ თითო-ოროლა მამაცი და პატრიოტი ადამიანის გარდა. სწორედ ახლა გამოჩნდა ის, რაც ილიამ ლექსში „ბედნიერი ერი“ – გვითხრა: „მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არრის მქონე, არრის მცოდნე, ამაყი და ბედნიერი“.

სამწუხაროა რაიც!

**სამი ათეული წელია ტვინებს ურეცხავენ მოსწავლეებს, არამოსწავლე ახალგაზრდებს სკოლით, აურაცხელი მედიასაშუალებებითა და სხვა საინფორმაციო ტექნიკით. მერე რად უნდა გვიკვირდეს, რომ „რუსი“ სალანძღავ სიტყვად იქცა. განა რუსებს არ გეძახიან თქვენ, ხელისუფლებას დღენიადაგ რუსთაველზე და სხვაგანაც მდგომი საპროტესტო აქციების მონაწილენი, რომლებსაც მტრები მართავენ, მაგრამ ტვინგამოურეცხავი ადამიანები ეგრე ღრმად არ დაიჯერებენ იმ საშინელ სიცრუეს, რომ რუსეთი ისტორიული მტერია საქართველოსი.**

უმადურობა დიდი ცოდვაა, რომლის გამო ვისჯებით და უფრო დიდი სასჯელი წინ გველოდება, თუ ჩვენი პოლიტიკური, ანტირუსული რიტორიკა არ შევიცვალეთ!.

## 5. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს და არა, თუნდაც გენიოსმა იურისტმა!

**სამ ათეულ წელზე მეტია, რაც საქართველოში დამკვიდრდა დარგის ხელმძღვანელებად ამ დარგის არმცოდნე ადამიანების დანიშვნა. როცა ამას ვაპროტესტებდით, მედასავლეთეები გვპასუხობდნენ, რომ ასეა ამერიკასა და ევროპაშიო. დარგის ხელმძღვანელი მენეჯერია, რომელმაც შეიძლება სულაც არ იცოდეს, რა კეთდება ამა თუ იმ დარგშიო.**

ამერიკაში, ტრადიციულად, მართლაც ასეა, მაგრამ ის, რაც ეფექტიანია იქ, შეიძლება დამღუპველი იყოს აქ. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ ტრადიციებზე ჩამოყალიბდა ის სახელმწიფო და რა ტრადიციებზეა დაფუძნებული მართვის სისტემა ჩვენში. მარტივად თუ ვიტყვი, საბოლოო გადაწყვეტილებას აქ, ჩვენში, იღებს მინისტრი, იქ კი არა პირველი პირი, არამედ ის მოადგილე, თუ სხვა მაღალჩინოსანი, რომელიც სწორედაც დარგის პროფესიონალია.

ჩვენთან? ამგვარი მიდგომა მეტწილად კომიკურ შინაარსს იძენს, რაც უფრო სატირალია, ვიდრე სასაცილო. განა ასე არ იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი (თინა ამირსპასალარი?!) რომ დანიშნეს? ან ის არ იყო ტრაგიკომედია, შაშკინი განათლების დარგს რომ „მართავდა“?

ერთ დამახასიათებელ ეპიზოდს გავიხსენებ: 12-წლიანი სწავლება რომ შემოიღეს სკოლებში, ხალხი დიდ უკმაყოფილებას გამოხატავდა (სკოლა საამისოდ მზად არ იყო და ამიტომ!). სწორედ ამ დროს თავის მშობლიურ სკოლას ესტუმრა პრეზიდენტი სააკაშვილი, მას შაშკინი ახლდა. იქ მისმა პედაგოგებმა და ამ ექსპერიმენტული სკოლის ლეგენდარულმა დირექტორმა ლევან ჩიქვანაიამ გულისტკივილი გამოხატეს ამ მდგომარეობის გამო. თავის გამოსვლაში სააკაშვილმა „ანგარიში გაუწია“ თავისი პედაგოგების წუხილს და თქვა: მართლები ხართ, 19 წლის ახალგაზრდა, ნამდვილად არ უნდა იჯდეს მერხთანო, ამიტომ მომავალი წლიდან 5 წლის ბავშვებს მივიღებთ სკოლაშიო. ამაზე იქ შეკამათებას აზრი არ ჰქონდა და სამინისტროში დაბრუნებულმა ყოფილმა ციხის ზედამხედველმა დაწერა ბრძანება, მომავალი წლიდან სკოლაში 5 წლის ბავშვების მიღების შესახებ. და წავიდა... დაახლოებით ხუთი წელი გაგრძელდა ეს სიგიჟე.

ან სააკაშვილმა, ან შაშკინმა რაიმე იცოდა სწავლისათვის ბავშვის ინტელექტუალური და ფიზიკური მზაობის შესახებ? რა თქმა უნდა, არა!

ასეთი მაგალითები ბევრია!

**თქვენ, ბატონებო, გგონიათ, რომ განათლების მეცნიერება, მედიცინა ან კულტურა მეცნიერული ცოდნის გარეშე უნდა იმართებოდეს? ან ჯარი მარტო აღლუმებზე ფეხშეწყობით მოსიარულე ხალხის სიმრავლეა? არა მგონია, ასე გეგონოთ, მაგრამ ჯანდაცვის მინისტრი იურისტია, განათლების მინისტრები – ესეც, ისიც და იმის წინაც ხომ იურისტები იყვნენ, კულტურის მინისტრადაც კარგა ხანს იყო იურისტი. ეს ადამიანები, თავისთავად და იურისტობითაც, იქნებ, ძალიანაც კარგები არიან, მაგრამ...**

**განათლების სისტემას რა ზიანიც მიაყენეს არაპროფესიონალებმა, რომლის გამოსწორებასაც ათწლეულები დასჭირდება, ამაზე ბევრი დაგვიწერია და საჯაროდ გვითქვამს, მაგრამ...**

**ასე, რომ ჩემო ძვირფასო ხელისუფლების მაღალჩინოსნებო, იქნებ უფრო სერიოზულად დაფიქრდეთ ამაზე, ვიდრე ურემი კი არ გადაბრუნებულა, მთლად ხრამში არ გადავარდნილა!**

## 6. მედასავლეთელთა იდიოტიზმი

**ამ ბოლო ხანებში ტელეეკრანებიდან, ტელეწამყვანთა, ექსპერტთა, რიგით პოლიტიკოსთა, თუ პარლამენტართა, შიგადაშიგ მინისტრთა ბაგეთაგან ჩემთვის (და სხვისთვისაც) გაუგებარი გამოთქმა ისმის: „ოცი ოცდაოთხ წელს...“, „ოცი ოცდახუთ წელს...“, „ოცი ოცდარვა წელს კი...“ ერთი ხანი ვფიქრობდი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ერევათ-მეთქი ერთმანეთში, მაგრამ არა! ისინი ოცი-ოცდახუთ წლებს კი არ გულისხმობენ, არამედ „ორიათას ოცდაოთხ“ და „ორიათას ოცდახუთ“ წელს ამბობენ თურმე.**

**ეს უკვე იდიოტიზმია.**

რა დაემართათ ჩვენს ფრიად განათლებულ „ელიტარულ ინტელიგენციას“? თვლა არ უსწავლიათ სკოლაში, თუ რა? ბატონებო! იმათ ყველაფერი „ევროპული“ ყველაფერზე კარგი ჰგონიათ და მიილტვიან მის ასათვისებლად. ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეებდა პანტასაო“!. კიდევ უკეთესი ანდაზა იცოდა ბებიაჩემმა: წამხედურმა წამწყმიდაო!

ამ ევროპელებმა გაიგეს, რომ ინგლისელი „2024-ს ასე კითხულობს – თვენთი თვენთიფო“ ანუ ოცი ოცდაოთხიო. იფიქრეს, აი, რაციონალური წაკითხვაო და... ამ უბედურებმა ის კი არ იციან, რომ „ორიათასოცდაოთხი“ ერთცნებიანი სიტყვაა, ანუ სრულყოფილი ცნებაა, უნაკლო განსაზღვრებაა, ის ინგლისური კი სრულყოფილი განსაზღვრება არ არის.

ევროპული ერები კულტურულად გვიან ჩამოყალიბდნენ და ცივილიზაციის მონაპოვრებს (რაც სულაც არ იყო ევროპული!) ისე დაეუფლნენ, რომ საამისო კულტურული განვითარება არ ჰქონდათ. ამაზე გენიალური გამონათქვამი აქვს დიდ ამერიკელ ფილოსოფოსს ხოსე გარსია ი. გასეტს.

ევროპულ ერებს ცნება „შვილი“ არ აქვთ, არც „ბიძაშვილი“, „დეიდაშვილი“, „მამიდაშვილი“ და ა.შ. იციან. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური ცნობიერება მათში ბოლომდე ახლაც არ არის ჩამოყალიბებული. მიდით და მიბაძეთ მათ და ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს „კუზენები“ უძახეთ!

## 7. ღვთის რწმენა და ფარისევლობა

**ეკლესიაში სიარული, განსაკუთრებით რელიგიურ დღესასწაულებზე, სანთლისა თუ კელაპტრით ხელში წირვაზე დგომა ღვთის რწმენა არ არის. რწმენა შენს ზნეობრივ და მსოფლმხედველობრივ ორიენტაციებს უნდა განსაზღვრავდეს. საზოგადოებასა თუ ბუნებაში მიმდინარე ყველა მოვლენა პოზიტიური, ცდისეული მეცნიერებით არ აიხსნება, აქ ზებუნებრივ მოვლენათა, ანუ, სასწაულთა ღვთიური ახსნაა აუცილებელი. დიდი აინშტაინი ღმერთის მორწმუნე მერე გახდა, როდესაც ფარდობითობის თეორიაც შექმნილი ჰქონდა და სამყაროს მოდელიც, ვითომ, აღმოჩენილი.**

მეც გვიან მივედი უფლის რწმენამდე, თორემ ოქტომბრელობიდან დაწყებული ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი და აქტივისტი ვიყავი, რასაც დიდი ხანია ვინანიებ. რუდოლფ შტაინერის ფილოსოფიიდან დაიწყო ჩემი მოქცევა. შემდეგში ყველგან ვხედავ უფლის ნების გამოვლინებას, ცოდვა-მადლის რეალურ შინაარსსა და შედეგებს კაცობრიობის განვითარების ისტორიულ წარსულშიც და დღესაც. მე მარტო როდი ვარ, მაგრამ უმცირესობაში კი ნამდვილად გახლავართ.

დღეს რაც მსოფლიოში ხდება, არც გეოპოლიტიკური ინტერესებით არის გამოწვეული, არც ცივილიზაციათა თუ კულტურათა შეჯახებით, არც ტერიტორიათა ახალი გადანაწილების სურვილით. ეს არის ბოროტის ბრძოლა სიკეთის წინააღმდეგ, რაც წმინდა წერილებშია ნაწინასწარმეტყველები. ისიც ნაწინასწარმეტყველებია, რომ ამ ბრძოლის ბოლო ჟამია დღეს.

ვინც გონების თვალითაც უცქერს სამყაროს, აშკარად დაინახავს, რომ სატანამ ნიღაბი ჩამოიხსნა და ეშმაკეული აშკარად გამოვიდა ასპარეზზე და სწრაფად იხვეჭს მომხრეებს.

როგორც რელიგიური სწავლება ქადაგებს, ადამიანი, რომელიც ღმერთს ზურგს აქცევს, მის მცნებებს არად ჩააგდებს, დიდ ცოდვას სჩადის. ჯერ ერთი, უმადურობაა დიდი ცოდვა, ხოლო მისივე შემოქმედის უგულებელყოფა ცოდვათა ცოდვაა, მას ღმერთი მხოლოდ იმით სჯის, რომ ართმევს იმას, რაც მასში ღვთის მსგავსების ნიშანია. ეს არის შემეცნების უნარი, რაც ადამიანის უთუო დეგრადაციას იწვევს. ამისი მაგალითები დღეს საძებარი არ არის, ყველაფერი აშკარა და გამჭვირვალეა.

**ორ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ: XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში განათლებით, მეცნიერებით, კულტურით, კერძოდ მუსიკით, ლიტერატურით, ფილოსოფიით, ფსიქოლოგიითა და ა.შ. მართლაც სანიმუშო ქვეყნის, დღევანდელი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ის არ იცის, რამდენი გრადუსია წრეხაზის სიგრძე?! გასულ საუკუნეში ცივილიზაციის მწვერვალთმდგომი ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია ავსტრია და ავსტრალია, ხოლო ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველი ევროპის საკითხებში ფსაკი დაემუქრა ბელორუსს, თუ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ჩაერევითო, აშშ-ს მე-6 ფლოტი ბელორუსის საზღვრებს მიადგებაო!..**

**ევროპის მთელი ერები გამოთაყვანდნენ (ძირითადად) და ნამდვილი სიგიჟეები ნორმალურ მდგომარეობად მიიჩნიეს. ჩვენშიც ერთობ ფეხმოკიდებულია სატანიზმი.**

ცოდვა დაუსჯელი არ რჩება. ცალკეული ადამიანების თუ მთელი ქვეყნების გამოთაყვანება ამის დასტურია სწორედ. იცოდეთ ეს, ხელისუფლებავ, სიკეთე მინდა თქვენთვისაც და ჩემი სამშობლოსთ ვისაც და ამიტომ!

ახლა დავით გურამიშვილის ლექსის იმ სტრიქონებს მოვიყვან, საიდანაც ჩემმა მეგობარმა თამაზ წივწივაძემ და მეც ჩვენი წერილების სათაურად გამოვიყენეთ ერთი ფრაზა: „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბედ რად, ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“.

**ზურაბ ცუცქირიძე,**
განათლების მეცნიერებათა (პედაგოგიკის) დოქტორი, ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი და „ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი“, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.
555 56 75 37

**P.S. მე სამეფო კარის მასხარის პროფესიას ვერ ვიკისრებ, რადგან დღეს მასხარებს კი არა, ბრძენკაცებს არაფერს უჯერებენ, მაგრამ მართალს ისე ვამბობდი მუდამ, არც არავის მოვრიდებივარ და არც აწი მოვერიდები. გამგონი თუ გამოჩნდება ვინმე, გამიკვირდება, რადგან თანამედროვეებმა დიდ ილიას არ გაუგონეს და... რაც მიიღეს, ხედავენ გონიერი კაცები!**

**ზ. ც.**

# ვიქტორ ორბანმა ევროკავშირს 12 მოთხოვნა წარუდგინა



„ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** სოციალურ ქსელში იმ მოთხოვნების შესახებ წერს, რომელიც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** ბრიუსელის მიმართ სოციალურ ქსელ X-ში გამოაქვეყნა.

**„კინაღამ გამომრჩა ვიქტორ ორბანის „ულტიმატუმი“ – მან ევროკავშირს 12 მოთხოვნა წარუდგინა. „რას ითხოვს უნგრელი ხალხი ბრიუსელისგან? იყოს მშვიდობა, თავისუფლება და ერთიანობა“,** – ამით დაიწყო მან X-ში გამოქვეყნებული თავისი ჩამონათვალი:

**ჩვენ ვითხოვთ ერების ევროპას;**

**ჩვენ ვითხოვთ თანასწორობას კანონის წინაშე ყველა წევრი სახელმწიფოსთვის;**

**დაუბრუნდეთ წევრ-სახელმწიფოებს უკანონოდ ჩამორთმეული კომპეტენციების აღდგენა;**

**ვითხოვთ ნაციონალურ სუვერენიტეტს და ძლიერი ვეტოს უფლებას ეროვნული მთავრობებისთვის;**

**ევროკომისიიდან უნდა მოხდეს სოროსის აგენტების, ხოლო ევროპარლამენტიდან კორუმპირებული ლობისტების განდევნა;**




**შეეშვით ჩვენი შვილიშვილების მომავლის „დაგირავებას“ და მოახდინეთ ევროკავშირის ვალების ლიკვიდაცია;**

**არ ჩაერიოთ უნგრეთის ეროვნული გვარდიის უფლებამოსილებაში საკუთარი ქვეყნის საზღვრების დაცვის კუთხით;**

**შეჩერდეს მიგრანტების „იმპორტი“ და დაიწყოს ევროკავშირში არალეგალურად ჩასული პირების გაძევება;**

**კორუფციით მიღებული დოლარი და ევრო ევროკავშირის ქვეყნებში არ უნდა შემოვიდეს;**

**აიკრძალოს ჩვენი შვილების გაუკუღმართებული არაბუნებრივი განათლება;**

**დაცული იქნას ევროპის ქრისტიანული მემკვიდრეობა;**

**ვითხოვთ მშვიდობას ევროპაში და ევროკავშირს – უკრაინის გარეშე“!**

---

# NGO! მშვიდობის მზემ გამოანათა!

Non Governmental Organization



**მას შემდეგ, რაც ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი, ბატონი ტრამპი ქვეყნის სათავეში მოვიდა, მსოფლიოში არსებული დაძაბული ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა, თვალნათლივ ჩანს, რომ 2025 წელი მეტად არაორდინარულად დაიწყო. რეალურად გამოიკვეთა რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრების კონტურები, გლობალური ომის პარტიის ე.წ. „დიპ სთეითის“ წინააღმდეგ გახმაურებული ბრალდებები და არასამთავრობო ორგანიზაციების დამფინანსებელი უსაიდ-ის და მისი შვილობილი ორგანიზაციების საქმიანობის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები.**

**ტრამპის ხელისუფლება კატეგორიულად მოითხოვს ამ ორგანიზაციების გაუქმებას.**

**საინტერესოა ისიც, რომ, რასაც ტრამპის ხელისუფლება დღეს ითხოვს, იმ პრობლემების მოგვარებას, უფრო ადრე, თითქმის სამი წლის წინ ითხოვდა საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიციამ „რუსული“ კანონი უწოდა. არადა, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები სწორედაც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან და რას საქმიანობენ, მარტო უფალმა თუ იცის, ასევე ითქმის გენდერული თუ სხვა არაჯანსაღი კანონების მიმართ, რომელთა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ გამოხდომებს ზღვარი ახლაც არ აქვს. არანაკლებ პრობლემური იყო მედიაში გავრცელებული ცილისმწამებლური გამოსვლები, შეურაცხმყოფელი სიუჟეტები და სხვა. ხელისუფლება იძულებული გახდა, კვლავ ქვეყნის ალტერნატიული კანონების შეცვლისთვის გადაედგა ნაბიჯები.**

საკანონმდებლო ინიციატივებში უმნიშვნელოვანესია ამერიკული კანონის „ფარას” ქართული ასლის მიღება, სადაც ხაზგასმითაა მითითებული უცხოური მთავრობების უკანონო მცდელობების აღკვეთა, გავლენა მოახდინონ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, კანონდებლობაზე, დემოკრატიულ პროცესებზე და საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებაზე, ეს ყველაფერი ემთხვევა საქართველოში შემქნილ სიტუაციას.

უცხოური ქვეყნებიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები არა მარტო დემოკრატიას და საზოგადოებრივ აზრს უტევენ, არამედ სახელმწიფოში მშვიდობის განმტკიცებასაც სერიოზულად უშლიან ხელს, ამიტომ გახდა საჭირო ამერიკული „ფარას” იდენტური კანონის მიღება.

შესაბამისად, იგივე ითქმის „მედიის შესახებ“ ბრიტანული კანონის ქართული ანალოგის დამტკიცებაზე, რაც ერთხელ და სამუდამოდ მოაწესრიგებს და მედიაში დაამკვიდრებს სიტყვის თავისუფლებას, მეორეს მხრივ დაცული იქნება საზოგადოების უფლებები, მიიღოს რეალური და ობიექტური ინფორმაცია და არა დეზინფორმაცია, თავი დაიცვას ცილისწამებისგან, ხოლო ჟურნალისტებმა იზრუნონ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვისათვის და არ გახდნენ პოლიტიკური იარაღი რადიკალური ძალების ხელში, წერონ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა.

ზემოთ აღნიშნული კანონების ავ-კარგზე სერიოზული შეხლა-შემოხლა მიმდინარეობდა პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს „საქინფორმის” დირექტორმა, ბატონმა არნო ხიდირბეგაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალში” 2025 წელს, 10-15 თებერვალს გამოაქვეყნა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების არასრული სია, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში. გაგიკვირდებათ და თურმე საქართველოში სულ 30 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს. დავუშვათ, რომ ნახევარი, 15 ათასი შექმნილია მარტო ფულის საშოვნელად – ანუ გრანტის მოსაპოვებლად (მაგალითად – ეკოლოგიის, ძეგლთა დაცვისა და სხვა კულტურული პროექტების დასაფინანსებლად), მაინც რჩება 15 ათასი, ქვეყნის ძირგამომთხრელი, არასახელმწიფოებრივი, უცხოეთის ინტერესების დამცველი და მათი გავლენების გამტარებელი აგენტები, მოსყიდული რეზიდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ქართული კულტურის, ტრადიციების, ოჯახისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ მტრულად განწყობილი ნეონაცისტური იდეოლოგიის განმახორციელებელი დივერსიული ჯგუფები. ისიც გაითვალისწინეს, რომ ამ თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციებში საშუალოდ 10 ადამიანი მაინც არის დასაქმებული. წარმოიდგინეთ, სამმილიონიან ქვეყანაში თუ არ ჩავთვლით „ევროქართველებს”, რადიკალური ოპოზიციის აგრესიულ ელექტორატს – უცხოეთის აგენტებს, რომლებიც 4-ჯერ მეტნი არიან, მართლაც საკვირველია, ოპოზიციის 4 ტელეარხის ყურებით როგორ არიან სრულ ჭკუაზე?!

თუ ზემოთ ნათქვამ სიას გაეცნობით, გაგიკვირდებათ, როგორი სათაურებით არიან ცნობილი.

წარმოდგენილ სიაში ისეთი სათაურები ამოვიკითხე, რომლებიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მედიის განვითარებას ეძღვნება. კარგად მესმის, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი სურვილი, საზღვარგარეთელი მეგობრების ფინანსური დახმარებით, საკუთარ მუნიციპალიტეტებში ჰქონოდათ ადგილობრივი გაზეთი ან ტელევიზია. როგორ გადაწყვიტეს ეს კუთვნილი სურვილები, ჩემთვის უცნობია. არც მათ ადვოკატად გამოვდგები, რადგან არ ვიცი, ვინ და როგორ დააფინანსა მათი პროექტები.

* * *

**50 წელზე მეტია, რაც გაზეთის გამოცემას ვემსახურები, დღეს გაზეთი „ბორჯომი” ერთადერთია სამცხე-ჯავახეთში, რომელიც რეგულარულად გამოდის, თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ძალიან ბევრ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს ნაკლებად აინტერესებდა მოსახლეობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებისთვის ეზრუნათ, არაერთხელ გაზეთი „ბორჯომიც” იყო დახურვის პირას. დიდი ძალისხმევა გავწიეთ გაზეთის გადასარჩენად. ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ძალიან საწყენია, რომ ბორჯომში ტელევიზია აღარ მუშაობს, რადგან არანაირი დაფინანსება არა აქვს, თუმცა გვახსოვს ის პერიოდიც, როცა თითქმის ყოველ წელიწადს ამერიკის ელჩი საქართველოში სტუმრობდა ბორჯომელ ტელეჟურნალისტებს.**

დღეს რადიკალურად შეიცვალა ვითარება. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად საქართველოს ხელისუფლება იზრუნებს. ეს პროცესი ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ გამოიწვია. ვერავის დადებ ბრალს, არ ვიცი, ვინ ფინანსდებოდა საზღვარგარეთიდან, მაგრამ გულსატკენი ისიცაა, რომ არნო ხიდირბეგიშვილის მიერ გამოქვეყნებულ სიაში ბევრი ისეთი ორგანიზაცია ამოვიკითხე, რომელთა მიერ არც გაზეთი გვინახავს და არც ტელეგადაცემა.

**გამოქვეყნებულ სიაში კი შავით თეთრზე ჩამოთვლილია: „მესხეთის სამოქალაქო საზოგადოება”, „დემოკრატიულ მესხთა კავშირი”, „ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი”, „ჟურნალისტები ბორჯომის ხეობის გადასარჩენად” და სხვა. ძალიან მაინტერესებს ამ მეტად ხმაურიანი დასახელების ორგანიზაციის საქმიანობა, ნუთუ გაზეთ „ბორჯომის” რედაქციის ჟურნალისტები იმის ღირსი არ ვიყავით, ერთხელ მაინც შემოეთვალათ ერთობლივი მუშაობისათვის, არადა, ჩვენს რედაქციაში წლების მანძილზე საქართველოს სამი დამსახურებული ჟურნალისტი მუშაობს. ჩვენ ღირსად არ ჩაგვთვალეს. ძალიან მაინტერსებს, რას საქმიანობს ეს მეტად მყვირალა, ამბიციური, „ხეობის გადამრჩენელი” არასამთავროგო ორგანიზაცია ან ვინ არის მისი ხელმძღვანელი. ფაქტია, ასე გათითოკაცებამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს ვიმყოფებით.**

**ყველას ხელი მოემართოს მიზნების სიცხადეში და ოცნებების ასრულებაში. ნათქვამია: „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო”, ახლა მაინც გამოვიტანოთ დასკვნები.**



**ვალერიან ლომიძე,**
**გაზეთი „ბორჯომი“.**

# ცხინვალის მემატიანე

## მკვლევარ-ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ცოტნიაშვილი

„იყო რა კაცი მართალი,
წმინდა, ვით წყარო ანკარა!“
ვაჟა-ფშაველა

**ცნობილ ქართველ მკვლევარ-ისტორიკოსს, მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ მიხეილ ცოტნიაშვილს მიმდინარე წლის ცხრა მარტს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.**

**ცხინვალელი მეცნიერი თავისი შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე ძირითადად დაკავებული იყო მისთვის სათაყვანებელი მშობლიური ქალაქის ისტორიის, XX საუკუნის მიწურულს ჩვენს რეგიონში განვითარებულ ქართულ-ოსური ეთნიკური დაპირისპირების გამომწვევი მიზეზებისა და მათი უმწვავესი შედეგების კვლევა-ძიებით. ჩვენსავე სამშობლოში დევნილობის ჟამს „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლი“ იყო ლიახვისპირელი შემოქმედის გულსაწუხარი.**

მშობლიურ ქალაქსა და მის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობდნენ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწე ორ კოლეგა-მეგობარს. წინამდებარე ფოტოზეც (ზემოთ) სწორედ ისინი – ისტორიკოსები (მარცხნიდან) მიხეილ ცოტნიაშვილი და სერგო მოდებაძე არიან აღბეჭდილნი უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების დროს.


ისტორიკოსები (მარცხნიდან) მიხეილ ცოტნიაშვილი და სერგო მოდებაძე უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების დროს.

ცხინვალი – თამარის ჟამის მშვენიერი, ლიახვისპირა ძირძველი ქართული ქალაქი, სადაც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში უკვე გვქონია სამოსახლოები. მის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იდგა კავთის წმინდა გიორგის ეკლესია, მოგვიანებით კი ღვთისმშობლის, კვირაცხოვლობის, ზღუდრისა და მიძინების ტაძრები აშენდა.

დიდი ლიახვის შუაწელზე მდებარე ქალაქს ვახუშტი ბატონიშვილი ასე გვაცნობს: **„ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის-ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი რცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი და ურიანი. გარემოს წალკოტოვან-ვენახოვანი, საზრდლით მაძღარი.“**

ქრისტეშობიდან იდგა 251 წელი... ქვეყნის ჩრდილოეთით, ლიახუას (მდ. ლიახვი – **რ.ო.**) ხეობის დასაწყისში მოსულიყო ფარნავაზიანთა სამეფოს მეოთხე მეფე ასფაგურ პირველი. გაკვირვებული გასცქეროდა კავკასიონის მწვერვალებს. აქედან გზა ოსეთისაკენ მიდიოდა. ირგვლივ არემარე რცხილის ტყეს დაეფარა.


მიხეილ ცოტნიაშვილი მეგობრებთან ერთად

მოსწონებია მეფეს ადგილი, უბრძანებია ქალაქის აშენება და უთქვამს, ამ ქალაქს სახელად რცხილოვანი დაერქვასო.

ცხინვალის ისტორიის შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა გასული საუკუნის მკვლევარი-ისტორიკოსი მიხეილ ცოტნიაშვილი წიგნში „ცხინვალის ისტორია – ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში.“ ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფეოდალური ცხინვალის ისტორიის ზოგად გაშუქებას დაარსების დღიდან XIX საუკუნის დამლევამდე, საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მისი ადგილისა და როლის ჩვენებას.

ბატონიშვილი ვახუშტის მიხედვით, **XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელთაგან უმთავრესი ქალაქებია მხოლოდ ორი - თბილისი და გორი. დანარჩენი 12 „მცირე ქალაქებს“ წარმოადგენდნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცხინვალი.** „XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ალ. ამილახვარი თავის „გეოგრაფიულ ისტორიაში“ ცხინვალს ყოველთვის ქართლის ქალაქად მოიხსენიებს და გორის შემდეგ მეორე ადგილს აკუთვნებს.“

ცხინვალის ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო ლიდერი, სულიერი წინამძღოლი და ლეგენდარული მოძღვარი ვახტანგ კასრაძე ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცხინვალის N1 ქართულ საშუალო სკოლას, რომელიც საერთო აკადემიური მოსწრებით ყოველთვის პირველობდა ქალაქისა და, საერთოდ, რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებს შორის. „ვახტანგის სკოლის“ ნიჭიერ მოსწავლეთა პლეადას მიხეილ ცოტნიაშვილიც ამშვენებდა. მან სკოლა 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა და გასაუბრებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებისთანავე, სწავლული ახალგაზრდა წინაპართა სამკვიდროს დაუბრუნდა. დამოუკიდებელი ცხოვრების სარბიელზე გასული ჭაბუკი სამსახურს იწყებს ცხინვალის ქართულენოვან საოლქო გაზეთის რედაქციაში ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ კი პროპაგანდის განყოფილების გამგედ. ისტორიული მეცნიერებისადმი მისი განსაკუთრებული ლტოლვა აისახა ცხინვალის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის თანამედროვე პერიოდის განყოფილების გამგის თანამდებობაზე (1962-1969 წ.წ.). 1965 წლის სექტემბრიდან იგი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრაზე მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის თანამდებობებზე იღვწის. 1992 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე, ცხინვალელი პროფესორი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია. უმაღლეს სასწავლებელში აღმზრდელის სამაგალითო თვისება სტუდენტი-ახალგაზრდობისა და ისტორიული მეცნიერებისადმი ენით აღუწერელ სიყვარულზე აღმოცენდა, რაც, ამავე დროს, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მყარ საფუძველს ქმნიდა. ჭეშმარიტი მეცნიერი, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ერთხანს, შეთავსებით, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის კათედრასაც განაგებდა, ხელმძღვანელობდა ასევე საქართველოს საერთაშორისო „ცოდნის“ ცხინვალის რეგიონულ განყოფილებას.

ხელხვავიანმა ისტორიკოსმა მრავალი ლიტერატურული და სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა ქართულ პერიოდიკაში. წლების განმავლობაში იკვლევდა მშობლიური კუთხის წარსულსა და აწმყოს. საზოგადოებამ ინტერესით მიიღო მისი მონოგრაფიები: „ცხინვალის ისტორიისათვის“ (სტალინირი, 1961), „გმირი ერედვიდან“ (ცხინვალი, 1972), „ცხინვალის ისტორია – ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში“ (ცხინვალი, 1986). ამ უკანასკნელმა ნაშრომმა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა.

**დევნილობისას განუზომელია მიხეილ ცოტნიაშვილის წვლილი ქართლის მეთაურ ქალაქში ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასამოქმედებლად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოგვარდა ეს საშური საქმე. მან გაითავისა და გასაოცარი შემართებით ზიდა ამ უმაღლესი სასწავლებლის არსებობისთვის აუცილებელი და ესოდენ საპასუხისმგებლო ტვირთი. ლომის წილი მიუძღვოდა ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დონის ხარისხის ამაღლებაში. მისთვის ხომ გორში დევნილი პედინსტიტუტი „Alma Mater“ გახლდათ.**

ბატონ მიხეილს საგულისხმო ურთიერთობა ჰქონდა ოს კოლეგებთან. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ, როცა ცხინვალში აღიარებული და საზოგადოებაში დაფასებული ინსტიტუტის ოსი რექტორი პავლე დოგუზოვი გარდაიცვალა, მეტად თბილი გამოსათხოვარი წერილი მიუძღვნა გორიდან. სანიმუშო მეგობრობა აკავშირებდა გორში მოქმედ ცხინვალის პედინსტიტუტის (შემდგომ უნივერსიტეტის) მოამაგე ჯგუფთან: რექტორ ვიანორ ახალაიასთან, პრორექტორ გენადი ბურჭულაძესთან, პროფესორებთან – შოთა ქურდაძესთან, ვენერა სომხიშვილთან, ცისანა ასანიძესთან, ავთანდილ ცოტნიაშვილთან, ნოდარ მესხრიკაძესთან, აკაკი ტოლიაშვილთან, მანანა მიჩიტაშვილთან, ნოდარ მირაზანაშვილთან, იზო ბუხულეიშვილთან...

მოყვასზე, განსაკუთრებით ცხინვალსა და ცხინვალელებზე ფანატიკურად შეყვარებული, მათი ლხინისა თუ ტკივილის გამზიარებელი, **ყოველთვის ბერმუხასავით აღიმართებოდა იქ, სადაც საქმე მშობლიური რეგიონის ავბედობას, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას შეეხებოდა.** დევნილობის გაუსაძლის პერიოდში ცალკე თემაა მიხეილ ცოტნიაშვილის სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობა. ამ მხრივ დიდია მისი წვლილი საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლის,“ ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ ამოქმედებაში.

ისიც ნიშანდობლივია, რომ ბატონი მიხეილი აქტიურად იყო ჩართული გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ივერთ სამკვიდროში აზვირთებულ ეროვნულ მოძრაობაში. ალბათ, ამიტომაც, შემთხვევით არ იყო, რომ **1992 წლის მიწურულს, ავადხსენებული თბილისის ძმათა მკვლელი ომის დროს, საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის დიქტორმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „პედაგოგ მიხეილ ცოტნიაშვილს ვთხოვთ, მობრძანდეს უზენაეს საბჭოში.“**

**მძიმე მდგომარეობაში მყოფ მაშინდელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მისი თანადგომა სურდა.**

სასიქადულო მამულიშვილის მოულოდნელად გარდაცვალებას (08. 1997 წ.) დიდი ტკივილით შეხვდა ქართული საზოგადოება. გაზეთებმა „ლიტერატურულმა საქართველომ,“ „შიდა ქართლმა“ და „კვალმა“ სევდიანი წერილები მიუძღვნეს, ხოლო გაზეთმა „ლიტერატურულმა ცხინვალმა“ – მწუხრის სტრიქონები რუბრიკით: „ვაი, რა მუხა წაიქცა!“

მრავალჭირნახულ ცხინვალის მემატიანეს ძნელია, შეურჩიო რაიმე მაამებლური ეპითეტი, მით უფრო, როცა თვალწინ გამოეცალა სახატე კუთხე „კრცხილოანი.“ მან ხომ იქ, ტელმანის ქუჩაზე - საკუთარ საცხოვრისში, კოლხ მეუღლესთან როზა კვაშილავასთან ერთად, სიკვდილს ჩახედა თვალებში, იწვნია დევნილის გაუსაძლისი ხვედრი... უფალმა თუ უწყის, რაოდენ სევდა-მწუხარებას იტევდა მისი „გული, ცნობა და გონება.“

**...და მაინც, სულმნათ მკვლევარ-ისტორიკოსს, სწავლულ ცხინვალელს, მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფ. მიხეილ ცოტნიაშვილს, თავისი ბობოქარი ცხოვრების მანძილზე რომ არაფერი გაეკეთებინა გარდა იმისა, რომ დღის სინათლეზე გამოეტანა ფუნდამენტური ნაშრომი „ცხინვალის ისტორია – ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში,“ მისი სახელი მაინც ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა საქართველოს მემატიანეთა ისტორიაში.**

**რობერტ ოდიკაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



## რედაქციისგან:

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აგრძელებს პოლემიკას „Deep State“-ის ქართული შესატყვისის („ფარული სახელმწიფო“, „ღრმა სახელმწიფო“,) „ფარული დასით“ ჩანაცვლების გამო.**

**ჩვენს მეტყველებაში „ფარული დასის“ დამკვიდრების მოსურნეა ცნობილი ჟურნალისტი და რედაქტორი, პოეტი და პუბლიცისტი ლაშა ნადარეიშვილი.**

**რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს და გაზეთის დღევანდელ ნომერში წარმოდგენილი წერილის ავტორს პუბლიკაციის მცირედი დაყოვნების გამო და ორივე მხარეს გომიერების, ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ეთიკის ნორმების დაცვისკენ მოუწოდებს.**

# „ასავალ–დასავალის“ 10–16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წერილის – „სწორედ რომ ფარული დასი!“, პასუხად!

**მინდა, მკითხველს შევახსენო – ა.წ. 3 თებერვალს „საქართველოს რესპუბლიკაში“ (აგრეთვე „საერთო გაზეთში“ – 5 თებერვალს) გამოქვეყნდა ჩემი წერილი სათაურით: „Deep State – ფარული დასი?“, რომელიც შეეხებოდა ტერმინ Deep State-ის (ანუ „ღრმა სახელმწიფოს“) ახლით – „ფარული დასით“ ჩანაცვლების მცდელობას, იმას, თუ რამდენად მისაღები იყო ეს ცვლილება. არც ახალი ტერმინის ავტორი მიხსენებია და არც ის გაზეთი, სადაც ამის შესახებ დაიწერა, ვინაიდან ჩემთვის მოტივაცია არა ავტორის განქიქებაა, არამედ – საკითხის ირგვლივ გჯობა და ოპტიმალური ვარიანტის მიგნება. ქართულ ენაში გამართული ტერმინების დანერგვა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი ამბიციები.**

მე მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ, ჯერ ერთი, ღრმა **სახელმწიფოდ** წოდებულ ისეთ ძლიერ ძალას (ფინანსურად და უფლებრივადაც), რომელსაც ამ სახელის გარდა ხან **„სახელმწიფოდ** სახელმწიფოში“ მოიხსენიებენ, ხან „გლობალურ **მთავრობად“** და, ხანაც – „სამხედრო–სამრეწველო **კომპლექსად“**, გაუმართლებელია **„დასი“** ეწოდოს. აბა, **სად სახელმწიფო** და **სად ჯგუფი, გუნდი ანუ დასი!** როგორ შეიძლება მათ შორის განსხვავება ვერ დავინახოთ! **მარტო ეს მიზეზი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ტერმინი „ფარული დასი“ შეუფერებლად ვცნოთ!**

„დასი“ სხვა მხრივაც მიუღებელია – **დანაშაულებრივი(!) საქმეების ფარულად(!) ჩამდენთა დაჯგუფებას არ შეიძლება ეწოდოს დასი!** აი, ამ ერთმა არასწორად შერჩეულმა სიტყვამ, სხვა სიტყვასთან დაწყვილებულმა, მესამე სერიოზული ხარვეზი შვა – **ერთმანეთთან შეუთავსებელი „ფარული დასი“, პრინციპში – ოქსიმორონი!**

წერილს ვამთავრებდი ადვილად დასათანხმებელი, ჩემი აზრით, ყველასთვის მისაღები წინადადებით: **„ალბათ, ქართული შესატყვისის ძებნას აჯობებს დავტოვოთ ორიგინალი – Deep State, მით უფრო, რომ ამ ფორმით იგი უკვე დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში“.**

ეს იყო და ეს! როგორც ვიფიქრებდი, ამას შეურაცხყოფად ჩათვლიდა ვინმე და კუდს გამოაბამდა. არც არავის გამოუბია, გარდა „დასის“ ავტორისა. გაკვირვება იმანაც გამოიწვია, რომ ჩემს, გვერდის ერთ მესამედზე განთავსებულ წერილზე გამოხმაურებას, ორი გვერდი დაუთმო „ასავალ–დასავალის“ მთავარმა რედაქტორმა **ლაშა ნადარეიშვილმა** და, სათაურიც – **„სწორედაც რომ ფარული დასი!“,** უმსხვილესი შრიფტით გადაჭიმა ორივეზე. ასეთი შემთხვევა – ორ–ორ სიტყვას (11 და 10 ასოს) სრული(!) თითო გვერდი რომ დაეკავებინოს, გაზეთის ბოლო ხუთ ნომერში არ ყოფილა და, არა მგონია, რომელიმე ნომერში იყოს, თუნდაც, – წინა წლებში. დარწმუნებული ვარ, შრიფტის ზომები მკითხველსაც მოხვდებოდა თვალში, მე კი გავიფიქრე: ეს რამხელა მნიშვნელობა მიუნიჭებია ჩემთვის გამიზნული გამოხმაურებისთვის, მაგრამ გაზეთი მისი კუთვნილებაა, მთავარი რედაქტორიც თავად არის და თავის წერილს, რომელსაც ძალზე იშვიათად თუ დაწერს, „გააპიარებს“, აბა რას იზამს–თქო. ეს ჩემი წამიერი გაფიქრება იმავ წამს გაქრა, როგორც კი მზერა წერილის ბოლოში გადავიტანე – ხელს ყველასათვის ცნობილი, ერთ–ერთი უნიჭიერესი ჟურნალისტი (არა მხოლოდ „ა/დ“–ის!) **ჯაბა ხუბუა** აწერდა! (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერება და ზრდილობა ყოველთვის ერთად არ „ძოვენ ბალახს“, სამწუხაროდ!) არადა, ყველა წესით (დაწერილი თუ დაუწერელი!), თუნდაც ჟურნალისტის მომზადებული ყოფილიყო საგაზეთო მასალა, ხელი მაინც **ლაშა ნადარეიშვილს** უნდა მოეწერა, ვინაიდან ტერმინ „ფარული დასის“ შემოღების საკუთარი იდეის შესახებ მან ამცნო საზოგადოებას („ვამხილოთ ფარული დასი“. ა/დ, 13–19 იანვარი). ამ ტერმინის ირგვლივ დღემდე მხოლოდ ორად–ორი წერილია გამოქვეყნებული – მისი და ჩემი. ჰოდა, როდესაც შენს იდეას ვინმე ეჭვქვეშ აყენებს ან უარყოფს, პასუხიც შენვე უნდა გასცე და ამის გაკეთება ხელქვეითს არ უნდა დაავალო, არ უნდა ჩააგდო იგი უხერხულ მდგომარეობაში, ხელმოწერისთვის მაინც უნდა გეყოს კაცობა!




ამიტომაც **ჩემი ქვემორე პასუხი განკუთვნილია** ა/დ–ის 10–16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული გამოხმაურების როგორც **დამწერ ჯაბა ხუბუასთვის, ისე – დამკვეთ ლაშა ნადარეიშვილისთვისაც** და, პირველ რიგში, სწორედაც მისთვის, ვინაიდან პრესის ფურცლებზე ეთიკური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი სწორედ მთავარი რედაქტორია!

ყოველივე ზემოთქმულის გამო, მიზანშეწონილად მივიჩნიე, რომ მიმართვის ფორმად მხოლოდ მრავლობითი ფორმის გამომხატველი ნაცვალსახელები – „თქვენ“ და „მათი“ ვიხმარო.

ეს, ზოგადად. ახლა კი, უშუალოდ გამოხმაურებას მივუბრუნდეთ და სათაურებით დავიწყოთ. მთავარი სათაური იმდენად კატეგორიულია, თან, ძახილის ნიშნით – **„სწორედაც რომ ფარული დასი!“**, კაცი იფიქრებს, რომ ჩემი არგუმენტები სულ გააცამტვერეს კონტრარგუმენტებით.

კიდევ უფრო დამაფიქრა განმარტების ფუნქციის მატარებელმა მეორე სათაურმა – **„ბატონი იაკობ ლეჟავას ლინგვისტურ–მორფოლოგიური დიდაქტიკის პასუხად“.** პატივცემულო მკითხველო, არ ვიცი თქვენ როგორ გაიაზრეთ ეს წინადადება, მე კი, სიმართლე გითხრათ, მისი შინაარსი ვერ გავიგე, მივხვდი მხოლოდ ერთს – ისე მეცნიერულად, ლინგვისტურ–მორფოლოგიურად მიტევენ, რომ ვერაფრით ვერ გადავურჩები.

შევეცდები, თითქმის ისეთივე გამოწვლილვით განვიხილო მათი ერთობლივი წერილი, როგორც ეს თავად გააკეთეს ჩემი წერილის მიმართ, ოღონდ „ზრდილობაში“ მათ ვერ გავეჯიბრები.

მაშ ასე:

„მოიცადეთ, ბატონო იაკობ, აქ სიტყვა „სიტყვა“ ორჯერ რატომ გამოიყენეთ? ჯობდა, ასე დაგეწერათ...“.

„კვლავ ტავტოლოგია მოგივიდათ, ბატონო იაკობ, რადგან ნაცვალსახელი „ის“ ერთის მაგივრად ორჯერ გაქვთ გამოყენებული ისე, რომ ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს. არადა, ასე უნდა დაგეწერათ:...“.

„თუმცა, მოდით, ბატონი ლეჟავასთვის მართლწერის გაკვეთილების ჩატარებას ჩვენს თავზე ნუ ავიღებთ...“

„იძულებული ვართ, ზემოთ დადებული პირობა – **ბატონი იაკობ ლეჟავასათვის მართლწერის გაკვეთილების ჩატარებას ჩვენს თავზე არ ავიღებთო – ამ ერთხელ დავარღვიოთ და პატივცემულ ავტორს მივუთითოთ, რომ სიტყვა „ხმარების“ უთავბოლოდ ხმარება ზოგჯერ ფრიად უხერხულ სიტუაციას წარმოქმნის, რის გამოც ჯობს, „ხმარების“ მაგივრად „გამოყენება“ იქნეს ნახმარი“.**

როცა ნახევარ წერილზე მეტი მქონდა წაკითხული და მხოლოდ ეს „მარგალიტები“ ვიხილე, დავრწმუნდი, რომ კონტრარგუმენტებს ვერც წერილის მეორე ნახევარში აღმოვაჩენდი. აბა, მითხრას ვინმემ, თუ სმენია ოდესმე, რომ კაცი ტერმინოლოგიურ შეცდომაზე მიგითითებდეს, შენ კი პასუხობდე: **„ტავტოლოგია** მოგივიდათ, ნაცვალსახელი გაქვს ორჯერ გამოყენებული, არადა, ერთხელ უნდა გეხმარა, მაგრამ **მართლწერის** გაკვეთილებს ვერ ჩაგიტარებთ“! მაგრამ ეს არ არის მაინც მთავარი (როგორც იტყვიან: დაცინვას კაცი არ მოუკლავს), მთავარი და გასაოცარი არის ის, რომ მთავარ რედაქტორს და წამყვან ჟურნალისტს **ტავტოლოგია და მართლწერა** ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ! **სად ტავტოლოგია და სად მართლწერა!** როდესაც უმარტივეს ქართულ (!) ტერმინში – „მართლ-წერაში“ ვერ ერკვევიან, დავიჯერო „ა/დ“-ის წერილში მეორე სათაურად გამოტანილი სამი უცხო(!) სიტყვისგან შემდგარი ტერმინის – „ლინგვისტურ-მორფოლოგიური დიდაქტიკის“ გაეგებათ, ვითომ, რამე?

რაც შეეხება **„სიტყვა „ხმარების“ უთავბოლო ხმარებას“**. მე მეწერა: **„ჩვენ შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც მსახიობთა ჯგუფი, ისე მსახიობთა დასი“.** სამწუხაროდ, აქ გამორჩენილი მაქვს ერთი სიტყვა – **„გამოთქმა“** (უნდა იყოს – „ჩვენ შეგვიძლია ვიხმაროთ **გამოთქმა,** როგორც...“). ბევრი არც მიაქცევდა ამას ყურადღებას, რადგანაც წინა წინადადებაში განმარტებული მაქვს, რომ **„დასი“ იხმარება** სხვადასხვა საზოგადოებრივი **დაჯგუფების ... აღმნიშვნელადაც, როგორც** მაგალითად, პირველი დასი, სახალხო დასი, ქართული დასი“, რასაც შინაარსობრივად მოსდევდა ის, რომ ანალოგიურად **„შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც მსახიობთა ჯგუფი, ისე მსახიობთა დასი“.** დარწმუნებული ვარ, არავინ ჩამითვლის ამ უმნიშვნელო ხარვეზს მიუტევებელ შეცდომად და არც ჩემი მასხრად აგდება მოუვა თავში.

მაგრამ, თურმე, სადა ხარ! მოვუსმინოთ უზრდელობის აპოგეას: „ბატონო იაკობ, **თქვენს ასაკში** თუ იმდენი შეგიძლიათ, რომ **მსახიობთა მთელი ჯგუფი იხმაროთ** და, თანაც, როგორც წერთ, თავისუფლად იხმაროთ, **ბარაქალა თქვენს მამაკაცურ პოტენციას,** მაგრამ საგაზეთო პუბლიკაციიდან **ეს ცოტა პორნოგრაფიულად ხომ არ ჟღერს? ცოტა კი არა, სულ მთლად ჯგუფური პორნოგრაფია გამოდის“! „ჩვენი კეთილი რჩევა იქნება, სიტყვა „ხმარების“ ხმარებას მომავალში უფრო დაკვირვებულად და ყურადღებით მოეკიდოთ“!**

როგორც ხედავთ, ორივემ კარგად იცის ჩემი ასაკი (თუმცა, ასაკის გარეშეც – ეს მიუღებელი ჟურნალისტური ბილწსიტყვაობაა!) მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამისტოლა და ბაბუისტოლა კაცს (დამკვეთისთვის და დამწერისთვის, შესაბამისად), თავიანთი ჭკუით, ძალიან ენამოსწრებულად დამცინიან, და ავიწყდებათ ერთი ჭეშმარიტება – **როცა დაბოღმილ კაცს არაფერი აქვს სათქმელი, მაშინ გადადის დაუკრეფავში – ლანძღვასა და პირად შეურაცხყოფაზე!**

როგორც იქნა, მივადექი მთავარ საკითხს – **რამდენად გამართულია და მისაღები ტერმინი „ფარული დასი“.** წერილის ავტორებს თავიანთი პოზიციის გასამყარებლად (როგორც თავად ფიქრობენ) სამი წყაროდან (ალ. **ნეიმანის** „ქართულ სინონიმთა ლექსიკონიდან“, „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“ და „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონიდან“) „დასის“ ბევრი სინონიმი მოჰყავთ, მაგრამ რისთვის? განა ვინმემ თქვა, რომ დასს სინონიმები არ გააჩნია? მე სხვა ლექსიკონებით შემიძლია ჩამონათვალი შევავსო, მაგრამ რას მოგვცემს ეს? აბსოლუტურად, არაფერს! ყველამ ვიცით, რომ ყოველ სინონიმს თავისი ადგილი აქვს და ერთის ჩანაცვლება მეორეთი, ყოველთვის არ ხერხდება. ასევე არ ხერხდება არც მათი დაწყვილება ყველა სიტყვასთან! ეს არის მთელი „ფილოსოფია“! დასის სინონიმებიდან უხშირესად გამოიყენება: ჯგუფი, გუნდი, კრებული, რაზმი, თუმცა ადრე, ჩამომავლობის და გვარის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა, მაგრამ **არასოდეს – სახელმწიფოს სინონიმად!** ზემოხსენებულმა ტანდემმა, ლექსიკონების მოშველიებით თავადვე დაადასტურა: **სინონიმების სიმრავლით აბსურდის დამტკიცება შეუძლებელია – დასი სახელმწიფოს სინონიმი არასოდეს ყოფილა და, რომ „დიფ სთეითის“ (ანუ სახელმწიფოს) „დასით“ ჩანაცვლება, მხოლოდ ერთი ადამიანის, თავის თავზე უსაზღვროდ დიდი წარმოდგენის მქონე კაცის ახირებაა!**

ამას გარდა, რაც მთავარია, ვერ აბათილებენ ვერც იმ დებულებას, რომ **დანაშაულებრივი(!) საქმეების ფარულად(!) ჩამდენთა დაჯგუფებას არ შეიძლება დასი ეწოდოს.**

ახლა ვნახოთ, თუ როგორი ისტორიული მაგალითით ცდილობენ **„ფარულის“ და „დასის“** ერთმანეთთან შეუთავსებლობის შესახებ ჩემი არგუმენტაციის განეიტრალებას. მე ვწერდი: „არაფრით **არ შეიძლება „დასის“ დაწყვილება** ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფითი, მიუღებელი, დანაშაულებრივი და ა.შ. შინაარსისანი არიან“.

„ბატონ იაკობ ლეჟავას ქართულ საისტორიო წყაროებთან ჭიდილიც მოუწევს, რადგან იქ თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ფეოდალები **„ყურთლუ–არსლანის დასად“** არიან წოდებული, ხოლო თავად მოვლენა (მეფის წინააღმდეგ გამოსვლა) – **„ყურთლუ–არსლანის დასის გამოსვლად“** მოიხსენიება.

ჯერ, ღიმილის მომგვრელი ერთი ფაქტი: ჩვენ საუკუნეში რომ ვერაფერი უპოვიათ ჩემი არგუმენტების საპირწონე, ამდგარან და მეოცეში გადასულან, მერე – მეცხრამეტეში და ასე უვლიათ მე-12 საუკუნემდე. ჰოდა, ახლა 900 (!) წლის წინანდელ ამბებს ეპოტინებიან. როგორ არ გაგეცინება – ამხელა ქართულ მწერლობაში ვერაფერი უნახავთ ხელჩასაჭიდი და შორეულ წარსულში დაუწყიათ ქექვა, ისტორია „ნაყვარებათ ნამეტნავად“! ეძიებდე და ჰპოვებდეო და, ამათაც უპოვიათ, „მარა“ რა უპოვიათ, ქვას რომ გახეთქავს ისეთი „არგუმენტი“! თავად ჰგონიათ ასე, თორემ მე ცივი წყალი უნდა გადავასხა!

**ყუთლუ–არსლანი** სადღაც იატაკქვეშეთში კი არ იყო დამალული და ფარულად კი არ მოქმედებდა, იგი სახელმწიფო სამსახურში მაღალ თანამდებობას იკავებდა – მეჭურჭლეთუხუცესი იყო და თავის დასში ფეოდალები და იმდროინდელი მაღალი საზოგადოება ჰყავდა შემოკრებული. ისინი საკანონმდებლო უფლებებისთვის იბრძოდნენ და სამეფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი დაწესებულების – „კარავის“ (ანუ, დღევანდელი გაგებით – პარლამენტის!) შექმნას მოითხოვდნენ! დასსაც **ყუთლუ–არსლანის (!) დასი** ეწოდებოდა!

**როდესაც ანტისახელმწიფოებრივ(!) „ფარულ(!) დასს“ საკანონმდებლო უფლებებისთვის (!) მებრძოლ, ღიად (!) მოქმედ და კონკრეტული(!) სახელის მქონე დასისგან ანუ „ყუთლუ–არსლანის დასისგან“ ვერ არჩევენ, იმ ხალხთან დავას რა აზრი აქვს!** აი, ასე იცის ბრაზით გადავსებამ, რაღაც სისულელეს გათქმევინებს ან ჩაგადენინებს! ფაქტი სახეზეა, ახალი ვერაფერი ნახეს და **თამარ მეფის** დროინდელი როგორი „საბუთიც“ დადეს არგუმენტად, თქვენ თავად ხედავთ პატივცემულო მკითხველო! ჟარგონზე რომ ვთქვათ, – პირდაპირ „სატოპკე“ ამიწიეს!

**შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ სიბრალულის გრძნობაც კი გამიჩნდა ჩემი ოპონენტების მიმართ!** მეცოდებიან, რადგანაც, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთესად უჭრით თვალი, ყური და გონებაც, ლოგიკურადაც შესანიშნავად მსჯელობენ სხვა საკითხების განხილვისას, ბოლოს და ბოლოს, ჩემზე ბევრად ახალგაზრდებიც არიან, მაგრამ, როცა საქმე პირადი ამბიციების დაკმაყოფილებას ეხება, ისინი, თურმე, ყველაფერს კადრულობენ, ყველაფერზე ხელის მოსაწერად არიან მზად!

**სამწუხაროა დიდად! არადა, ღმერთია მოწმე, კარგი წარმოდგენის ვიყავი მათზე!**



**იაკობ ლეჟავა**

19 თებერვალი, 2025

საქართველოს რესპუბლიკა



## მედიათა მიჯნაზე

პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024 რჩეული პოსტები

1 ივნისი, 2024

## მე ისევ წიგნზე ვზივარ, ანუ სად მიდიან სელინჯერის იხვები

**დანარჩენს ხვალ გიამბობთ-მეთქი, – წუხელის შეგპირდით.**

ჰოდა, ღამის სამ საათზე გუშინდელი ტექსტი რომ დავპოსტე, ჩავიწვინე ფესტივალზე ნაყიდი ერთი მომცრო წიგნი და კითხვას შევუდექი. თუმცა ნაყიდი კი არა, ნაჩუქარი. „დიოგენეს“ გოგომ, რომელიც გამომცემლობის საჩუქრებს პარკებში მილაგებდა, იმდენ წიგნებში მაინცდამაინც ეს წიგნი გამოარჩია, ამით დაიწყეთო. „დიოგენეს“ გოგოს, – თუ სწორად გავიგე, როგორ მოუხმო მისმა მეგობარმა, მგონი, მაშო ერქვა.

მოთხრობას კი „აღარ ვივარგებ ადამიანად“ ჰქვია. იაპონელი მწერლის ოსამუ დაძაის მოთხრობაა, თამთა ბოკერიას თარგმნილი იაპონურიდან. სირცხვილი ჩემი – ამ წიგნით პირველად გავიგე ოსამუ დაძაის გვარი. მოთხრობა ძალზე საინტერესოა, მაგრამ მას ძალიან ეტყობა ჯერომ სელინჯერის კვალი თავისი იმ ცნობილი თამაშით, ჭვავის ყანაში თამაშით. არც არის საკვირველი, რომ მწერალს სელინჯერის კვალი ეტყობოდეს. ბევრს ეტყობა – კანადიდან იაპონიამდე. მაგრამ გუგლს რომ ჩავუჯექი, აღმოჩნდა, რომ, როცა სელინჯერმა „თამაში ჭვავის ყანაში“ დაწერა, ოსამუ დაძაო უკვე სამი წლის მკვდარი იყო! ნეტა ვინმემ ხომ არ შენიშნა ეს ამბავი ჩემამდე? იქნებ ვინმემ უთხრა კიდევაც სელინჯერს, შენი კოლფილდი დაძაის იოძოს ჰგავსო? იქნებ ამის გამოც იყო, რომ სელინჯერი ამ რომანის შემდეგ შინ ჩაიკეტა და მერე აღარც არაფერი დაუწერია? ამასობაში ისიც მახსენდება, რომ სელინჯერი ძენ-ბუდიზმით იყო დაინტერესებული. ნეტა იყო თუ არა დაძაის მოთხრობა მაშინ თარგმნილი ინგლისურად? თუ ძენ-ბუდიზმით დაინტერესებულმა სელინჯერმა იცოდა იაპონური? თავი იმტვრიონ კომპარატივისტებმა. მე კი სელინჯერის სიყვარულს ვერ მომაშლევინებენ. ისევ ისე მგონია, რომ მისმა რომანმა მთელი ჩემი თაობის – ბეზიბუმერთა თაობის და მომდევნო თაობების სულ მცირე ლიტერატურული გემოვნება ჩამოაყალიბა. და თუ იგი ოსამუ დაძაის მოთხრობას იცნობდა, იმას ნიშნავს, რომ იაპონელი მწერლის ეს მოთხრობა თუნდაც მხოლოდ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სელინჯერს „თამაში ჭვავის ყანაში“ დააწერინა. იქნებ ნიუ-იორკის სენტრალ-პარკის იხვები იაპონიისკენ მიდიან?

დიდი მადლობა, მაშო, რომ გუშინ საღამოს მირჩიე, ამ წიგნით დაიწყეო. ვინ იცის, იქნებ ამის გამოც მირჩიე? „დიოგენეს“ სტაფი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ნაკითხი სტაფია ქართულ გამომცემლობებში, თუნდაც მხოლოდ წიგნების ჩალაგება ევალებოდეს ჩანთაში!

მაშო არა, წიგნის ერთ-ერთ გმირს იოშიკო ჰქვია. ხოლო მოთხრობის მთავარ გმირი ერთი ტაკიმასხარა კარიკატურისტია, რომლის პირითაც გვიამბობს ავტორი მისსავე ისტორიას.

„კარგად ვერაა შენი საქმე. იცოდე უკვე წამალზე ხარ დამოკიდებული, მაგრამ ეტყობა ვერ ხვდები!.. მან უსიტყვოდ გამომიწოდა ერთი მთლიანი კოლოფი. თანდათანობით გავაცნობიერე, რომ ეს წამალიც ისეთივე საზიზღრობა იყო, როგორიც არაყი. არა! ბევრად უფრო უარესი იყო, ოღონდ იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანი გახლდით... გასვლის წინ იოშიკო მომიახლოვდა და ბოხჩაში გამოკრული გამოსაცვლელი ტანსაცმელი გამომიწოდა. შემდეგ კიმონოს სარტყელში შენახული რაღაც ახალი ამოიღო, რაც შპრიცი და მორჩენილი წამალი აღმოჩნდა. ის მართლა ფიქრობდა, რომ ამ ინიექციებს ძალების აღსადგენად ვიკეთებდი“...

არადა, რა იხვი, რის იხვი, – დღეს სულ სხვანაირად ვაპირებდი ტექსტის დაწყებას. თუმცა ეს წუხანდელი წიგნი ზუსტად დააჯდა ჩემს ფიქრებს, როცა გუშინ წიგნის ფესტივალზე მიმავალი იმაზე ვფიქრობდი, როგორ ჩამოვიდე წიგნიდან, რომელზეც ამდენი ხანია ვზივარ. ნარკომანიაზე ვერაფერს ვიტყვი, ის კი კარგად მახსოვს, როგორც დავანებე თავი სიგარეტს ამ ოცი წლის წინათ. არ გაჭრა იმ მეთოდმა, რომ დღეს ათ ღერს მოვწევ, ხვალ – ცხრას, ზეგ – რვას, მაზეგ – შვიდს და ათ დღეში სიგარეტსაც გადავაგდებო. ბევრჯერ ვცადე ეს მეთოდი, მაგრამ ერთ და ორ ღერზე რომ ჩამოვიდოდი, შემდეგ საღამოს ორი კოლოფი აღარ მყოფნიდა და მესამე კოლოფს ვხსნიდი. მერე ჩემს თავზე მეცინებოდა – რა უნდა სიგარეტის გადაგდებას, ვინ იცის, რამდენჯერ მაქვს გადაგდებული-მეთქი!

ჰოდა, ასეა ახლა ეს წიგნებიც. მივდივარ წიგნების ფესტივალზე ვეება ცარიელი ჩანთითა და მთელი ორი თვის დანაზოგით სავსე საფულით და იმაზე ვფიქრობ, რამდენჯერ გადავწყვიტე, ეგაა! – წიგნს აღარ ვიყიდი, ნეტა ის წიგნები წამაკითხა და მომახმარა, რაც აქამდე მიყიდია-მეთქი. მაგრამ მერე – „ეს რა კარგი გამოცემაა, უეჭველად უნდა მქონდეს“, ან „ეს ავტორი არ ვიცი, აუცილებლად უნდა წავიკითხო“ – იმ თითო ღერი სიგარეტის მსგავსად ვერა და ვერ ავდექი წიგნიდან. წიგნის ფესტივალზე იმდენი წიგ-






ნი მიყიდია და უცხოეთიდან იმდენი წიგნი მითრევია, სიგარეტის ის მესამე კოლოფი მონაგონია!

წიგნი კარგი საჩუქარიაო, კი ამბობენ, მაგრამ უკვე აღარ არის ასე. მეჩვენება, რომ წიგნს როცა ვჩუქნი ვინმეს, ვინც ამ წიგნის ღირსად ჩავთვალე, ფიქრობს, რომ ამ საჩუქრით, რაკი წიგნები ბევრი მაქვს, იოლას გამოვედი, თუნდაც ეს იშვიათი წიგნი იყოს, რომელიც თავის დროზე ძლივს ვიშოვე და ძლივს ველევი.

და აი, ახლაც მივდივარ წიგნის ფესტივალზე და იმაზე ვფიქრობ, დიდ-დიდი ერთი-ორი წიგნი ვიყიდო, დღესვე რომ ძალიან მჭირდება, ისეთი. ხოლო პარიზის ოლიმპიადიდან ჩამოსულმა საერთოდ უარი უნდა ვთქვა წიგნების ყიდვაზე, როგორც 20 წლის წინათ სიგარეტზე. თუ ვინმე მაჩუქებს, – მაშინ ჰო! ხოლო ჩუქებას რაც შეეხება...

მივდივარ წიგნის ფესტივალზე და სახლში რომ დავბრუნდები, ის გაზეთი უნდა მოვძებნო ჩემი 21 წლის წინანდელი ტექსტით, რომელიც მაშინდელია, როცა ამაოდ ვცდილობდი სიგარეტის გადაგდებას და რომელსაც – ვიმეორებ, ასეთი სათაურის აქვს: „მე წიგნზე ვზივარ!“

მოვედი თუ არა შინ, მართლა მოვძებნე ეს გაზეთი და ოსამუ დაძაის ის წიგნი რომ არა, სწორედ მისი ციტირებით ვაპირებდი ამ ტექსტის დაწყებას:

„დიახ, ვზივარ. წიგნზე ვზივარ. წიგნის ჭია ვარ და ვზივარ კიდევაც.

როგორც ყველა თბილისელი წიგნის ჭია და წიგნზე შემჯდარი, 11-დან 14 ივნისამდე, დილიდან საღამომდე ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ვიყავი, სადაც თბილისის წიგნის მე-5 ფესტივალი გაიმართა. ამავე დროს მე ამ ფესტივალის მონაწილეც გახლდით, როგორც გამომცემელი, და საკუთარი სტენდიც მქონდა, გინდა – დახლი. სტენდს ჩემი გამომცემლობის სარეკლამო პლაკატი ამშვენებდა ჩემივე სლოგანით:

**დაგიბრიყვებენ ციგნები,**
**თუ არ იკითხე წიგნები.**

ამგვარ ორსტრიქონიან ლექსებს მე დუპლექსები დავარქვი. ჩემი სარეკლამო დუპლექსები ბევრს კოტესი ეგონა, ყუბანეიშვილის. ...კოტეს წიგნი „დარჩინორჩი“ მისმა გამომცემელმა ლევან თითმერიამ მაჩუქა სხვა ახალ წიგნებთან ერთად, – შენ საჩუქრად გეკუთვნისო! იცის, რომ წიგნზე ვზივარ. ზაზა ბირთველმაც მაჩუქა მისი გამომცემლობის – „სანის“ მიერ გამოცემული წიგნის თითო ეგზემპლარი. ჟურნალ „დილის“ მთავარმა რედაქტორმა ლილე ნინოშვილმაც „დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედიები“ მოთავაზა. ყველაზე წარმატებული ქართველი გამომცემელი ბაკურ სულაკაური ყოველ წელიწადს მჩუქნის თავის წიგნებს და რაღა წელს დაარღვევდა ამ კარგ ტრადიციას? თანაც მეუბნება, ერთადერთი ხარ, ვისაც წიგნებს ვჩუქნი და არავის უთხრა. აბა, ვის რა უნდა ვუთხრა?! ლაშა ბერაიამ, ლევან ბაბუხადიამ და მამუკა ხანთაძემაც მაჩუქეს წიგნები. იციან, რომ წიგნზე ვზივარ. წიგნის ჩუქება დღეს ფუფუნებაა. დიდი მადლობა, ვინც მაჩუქა, მაგრამ ყველა ხომ ვერ მაჩუქებდა! მეც ავდექი და დანარჩენი ვიყიდე“...

ჰოდა, ახლა მახსენდება ეს ტექსტი და წიგნის მორიგ ფესტივალზე მიმავალი, იმაზე ვფიქრობ, ნეტა რამდენ წიგნს ვიყიდი ამჯერად. ნეტა რამდენ ღერ სიგარეტზე ჩამოვალ ამჯერად. ან ჩამოვალ კი?

ვფიქრობ ამ ყველაფერს და უცებ!..

კოკა-კოლას ოფისის წინ სკამია, სკამზე სათვალიანი ყმაწვილი ზის, ჯენზის თაობის წარმომადგენელი და... წიგნს კითხულობს. სოლიდურ წიგნს.

შევნიშნე, მომეწონა და ჩავუარე. მინახავს, როგორ არ მინახავს მატარებელში თუ მეტროში თუ ავტობუსში წიგნში თავჩარგული ახალგაზრდა, არა იმდენი, რამდენიც ჩემს ახალგაზრდობაში იყო, მაგრამ მაინც. ისიც ვიცი, რომ აგერ ახლა, დღეს და ღამეს რომ ათევდნენ აქციებზე რუსთაველი იქნებოდა თუ სხვაგან, ბევრი ახალგაზრდა წიგნით იყო მოსული, ზოგი გამოცდებისთვისაც კი ემზადებოდა. მაგრამ ასე – ქუჩაში, სკამზე, ბიჭი, სოლიდური წიგნი...

და ამ ფიქრის მანძილით ვიყავი იმ სკამს მოშორებული, რომ უკან დავბრუნდი და ბოდიში, გამოცდებისთვის ემზადები-მეთქი, – ვკითხე და წიგნს შევავლე თვალი.

არაო.

რა წიგნია-მეთქი.

„ფაუსტიო“!

„ფაუსტიო“?! ენა დამება. პირველი რაც მოვიფიქრე, წამოდი, აქვე წიგნის ფესტივალია და რა წიგნიც მოგეწონება, გიყიდი-მეთქი.

არაო, ამხანაგს ველოდებიო. შინ უნდა წავიდეთო.

გვარი და სახელი ვკითხე. თავიდან ჯორჯაძეო, – მომეჩვენა. სინამდვილეში გორდაძე ყოფილა. ივანე მქვიაო, ივას მეძახიანო. ზესტაფონის რაიონიდან ვარო. თბილისში ვსწავლობო. მე-11 კლასელი ყოფილა. მინდოდა აქ მომენიშნა, მაგრამ ვერ დავადგინე მისი პროფაილი.

„ფაუსტს“ რატომ კითხულობ-მეთქი. მომწონსო. გიორგი ჯორჯანელის თარგმანს კითხულობდა. სხვათა თარგმნილიც არსებობს-მეთქი, პეტრე მირიანაშვილისა, დავით ონიაშვილისა, დავით წერედიანისა. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს კარგი წერილი-მეთქი, უცბად ლექტორი გავხდი. მიყვარს, როცა სტუდენტები წიგნის სიყვარულს ამჟღავნებენ და მეც შემიძლია ისე ტოლ-სწორად ველაპარაკო, როგორც თავის დროზე საჯარო ბიბლიოთეკის წინ ვსაუბრობდით სტუდენტები სიგარეტის მოსაწევად გამოსულები.

მაშინ არა, მერე უკვე „ექსპო ჯორჯიისაკენ“ მიმავალს გამახსენდა პეპი, ერთი ჩემი ძველი სტუდენტი. ჩვენში ახალი შემოსული იყო ბეგბედერი, ის კი შესვენებაზე „99 ფრანკს“ კითხულობდა, მაშინ როცა ზოგიერთ მის თანაკურსელს „პატარა უფლისწულიც“ არ გაეგო. მერე მეც წავიკითხე ბეგბედერი და კარგა ხანს ვილაპარაკეთ მასზე. გათხოვილი იყო, შვილიც ჰყავდა, მაგრამ ლექცია არ გაუცდენია. სასწავლო ჟურნალი გავაკეთეთ და სხვაზე სწრაფად აუღო ალღო. მგონი, იმ წელს პირველად გაიმართა წიგნის ფესტივალი „ექსპო ჯორჯიაში“. ერთხელ უნივერსიტეტის შესასვლელში იდგა. წამოდი, თუ გცალია, კაი ადგილას მივდივარ-მეთქი. ტაქსში კი მკითხა, სად მივდივართო და არაფერი მითქვამს, სიურპრიზი მაქვს შენთვის-მეთქი. აღარ ჩამცივებია. ჰოდა, წიგნის ფესტივალზე მივიყვანე. შევუშვი წიგნების ჯუნგლებში და 100 ლარის ფარგლებში რაც გინდა აარჩიე და გიყიდი-მეთქი, – ვუთხარი. დიდხანს ეძება და მისი არჩევანი რომ ვნახე, ნეტა მეტი ფული მქონოდა-მეთქი ვიფიქრე. წლების მერე, როცა გაიგო, რომ თბილისში ჩამოსულ ბეგბედერთან შეხვედრაზე მივდიოდი, ავტოგრაფი იქნებ ჩემთვისაც გამოართვათო. ავტოგრაფი კი გამოვართვი, მაგრამ დროულად ვერ მოვაწოდე და უკვე არც კი ვიცი, სადა მაქვს. ახლა ივამ გამახსენა პეპი თავის ბეგბედერიანად.

მადლობა ღმერთს, რომ ყოველ ნაკადში არის ერთი-ორი ასეთი სტუდენტი, ვისთვისაც ღირს მუშაობა, თუნდაც ყველა დანარჩენმა არ იცოდეს, ვინ იყო „პატარა უფლისწული“.

სად აპირებ სწავლის გაგრძელებას-მეთქი, – ივას ვკითხე. არ ვიცი ჯერ არ გადამიწყვეტიაო. ძალიან გამიხარდება თუ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გადაწყვეტ-მეთქი სწავლას.

გამომშვიდობებისას პოეზია გიყვარს თუ პროზა-მეთქი. ერთიც მიყვარს და მეორეცო. პოეზიასაც გაჩუქებ და პროზასაც-მეთქი. ტელეფონები გავცვალეთ. მე ძველებურად მგონია, რომ წიგნი ყველაზე კარგი საჩუქარია. იმედი მაქვს, რომ ივა გორდაძეც ასე ფიქრობს. თუ შეიძლება ფოტოს გადაგიღებ-მეთქი. დაჯდა და წიგნი ისევ ისე აიღო ხელში, როგორც მაშინ ეჭირა, პირველად რომ შევამჩნიე.

გამომშვიდობებისას მკითხა, რა წიგნის ფესტივალიაო. არ იცოდა. ავუხსენი და უფრო მაგრად გავწიე „ექსპო ჯორჯიისაკენ“.

ჰოდა, მივდივარ ჯერჯერობით ცარიელი ზურგჩანთითა და ჯერჯერობით სავსე საფულით წიგნის ფესტივალისკენ. აღფრთოვანებული და აღტაცებული ივას გაცნობით. ეს შეხვედრა ალბათ მთელ ფესტივალს სჯობდა-მეთქი, – გულში ვამბობ. კიდევ კარგი, ფეხით წამოვედი. უკვე იმას ვფიქრობ, რა წიგნებს ვაჩუქებ, რამდენს. თუმცა სხვადასხვა დროს უამრავი წიგნი გამიჩუქებია, მაინც მიჭირს წიგნის გასხვისება, რაგინდ ორი და სამი ეგზემპლარი მქონდეს, ძნელად ველევი. ამ მხრივ მე ზუსტად შემეფერება გრიშაშვილისეული პერანგს მოგცემ, წიგნს – ვერა! ამის მიუხედავად, ვაპირებ რომ ჩემი ბიბლიოზეუმის ნაწილი ლიტერატურის მუზეუმს გადავცე, ნაწილი კი – მშობლიურ პირველ სკოლას, თანაც სწორედ წელს – სკოლის დამთავრების 55-ე წლისთავზე.

ივასნაირი ბიჭებისთვის წიგნი როგორ დამენანება! არიან, როგორ არ არიან ასეთები ჩვენს გარშემო. გინდა, თავისუფალი ახალგაზრდები დაუძახე და გინდა – ჯენზის თაობა. ვფიქრობ, დავურეკავ, შევხვდები სადმე და მივცემ ერთ დასტა წიგნებს. რამხელა დასტას და, რამდენის წაღებასაც შეძლებს...

და უცებ ელდა მეცა!.. ელდაც არის და ელდაც!!!

ზიხარ შენთვის კოკა-კოლას ოფისის მისადგომებთან. კითხულობ გიორგი ჯორჯანელის თარგმნილ „ფაუსტს“, ამხანაგს ელოდები და ამ დროს მოდის ვინმე არცთუ ახალგაზრდა შესახედაობის უცნობი ტიპი, რომლის სახელი და გვარი შენ არაფერს გეუბნება, მხარზე ცარიელი ზურგჩანთა მოუდგია და წამოდი, წიგნი უნდა გიყიდოო, გთავაზობს. უარს რომეუბნები, ვითომ შენით აღფრთოვანებული, ტელეფონს გთხოვს და რაკი ახლა ვერ მოდიხარ, წიგნები უნდა გაჩუქოო, გპირდება – პროზაც და პოეზიაცო – და ბოლოს ფოტოსაც გიღებს!!!

განა ნორმალური არ იქნება, რომ ჯენზის თაობის ამ ერთმა ჩვეულებრივმა წარმომადგენელმა, რომელიც ვინ იცის მთელი თვე ევროპა-ევროპას გაიძახის საქართველოს პარლამენტის წინ თუ სხვა ლოკაციებზე, ამ ყველაფრის მერე რაღაც ძალიან-ძალიან ევროპული იფიქროს შენზე?

თანაც ამასობაში ერთი მსგავსი ისტორიაც გამახსენდა. წიგნების დასტა არა ისა! იყოს წიგნები თავის ადგილას! ისედაც მიჭირს მათი შელევა! ახლა კიდევ ამას აფიქრებინე – ივაა თუ ივანე – ძალიან-ძალიან ევროპული ამბები! კიდევ კარგი, არ გამომყვა ფესტივალზე!

ჰოდა, ასეთი ელდანაცემი შევედი წიგნის ფესტივალზე.

შევედი და შევედი. მერე აღარც ევროპა მახსოვდა და აღარც „ფაუსტი“. თუმცა „ფაუსტმა“ მაინც შემახსენა თავი გამომცემლობა „პეგასის“ სტენდზე. დავით ონიაშვილის თარგმანი იყო.

წიგნზე ჯდომა გაგრძელდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

ვინ იცის, ივას არაფერი ძალიან-ძალიან ევროპული თავში არ გაუვლია?! სწორედ ამიტომ გაქვეყნებ სურათს, როგორც იმ ჩემი ელდამდელი და ეჭვამდელი აღფრთოვანების დასტურს.

კიდევ უფრო დანარჩენი ხვალ.



**მცირე ასაკის ბავშვებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ნებისმიერი პრობლემა, უკლებლივ ყველა პროფილის მედიკოსთა, მათ შორის, ცხადია, უროლოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. უროლოგთა ქართული სკოლის მიღწევები საქვეყნოდაა ცნობილი, ჩვენმა ექიმებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს როგორც უფროსი, ისე მცირე ასაკის პაციენტთა შორის. ამდენად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სავსებით დამსახურებულია ის ავტორიტეტი, რომლითაც კოლეგებში სარგებლობენ სწავლული მედიკოსები და უმაღლესი რანგის სპეციალისტები, ბავშვთა უროლოგები, ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის ექიმი მარიამ ლორთქიფანიძე და მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები გოგა მაღრაძე და ზაზა ჯანტურია.**

**ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა ბიჭებში სასქესო ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები გახლავთ.**



# ბიჭუნების „ბიჭური“ პრობლემა:
# ფხიზლად, დედებო და მამებო!

**– როცა ლაპარაკია მცირეწლოვან პაციენტებზე, ბუნებრივია, ვფიქრობთ, რომ სასქესო ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები თანდაყოლილი უნდა იყოს. რაში მდგომარეობს მათი არსი და როგორია მკურნალობის პროცესი?**

**მ. ლ.:** – მცირეწლოვან ბიჭუნებში სასქესო ორგანოებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ხშირი პრობლემაა, როდესაც ბავშვს ასოს თავზე ჩუჩა არ გადასდის, რისი მიზეზი მისი გარეთა რგოლის შევიწროება ხდება. ამას ფიმოზი ეწოდება. ამავე დროს, შესაძლებელია, რომ ჩუჩის შიგნითა ფურცელი ასოს თავზე იყოს მიხორცებული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს თანდაყოლილი გარემოება გახლავთ და ფიმოზი ასაკის ბრალი არ არის.

ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მდგომარეობა მცირე ასაკის ბავშვებში ფიზიოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს და რაიმე სახის მკურნალობას ან სამედიცინო ჩარევას არ საჭიროებს, ხოლო რაც შეეხება საშარდე გზების თანდაყოლილ ანომალიებს, ამ შემთხვევაში მეთვალყურეობის ტაქტიკა იცვლება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ფიმოზის შემთხვევაში ჩუჩის ძალდატანებით გადაწევას ასოზე ძალიან ხშირად ისეთი გამწვავება შეიძლება მოჰყვეს, როგორებიცაა ჩუჩისა და საშარდე გზების ინფექციები. გარდა ამისა, ჩუჩის ქსოვილის დაზიანებასა და ამის გამო ინფექციის შეჭრას შესაძლოა მოჰყვეს დანაწიბურება, რის გამოც მოგვიანებით ასაკში ადგილობრივი მკურნალობის ეფექტიანობა მკვეთრად მცირდება. ამიტომ, **მშობელთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ჩუჩის ძალადობრივი გადაწევა და ნებისმიერი სახის მასაჟი ყოვლად დაუშვებელია.**

იმ შემთხვევაში კი, როცა ასოს თავზე ჩუჩა დაუბრკოლებლად გადადის, მშობლებმა ბავშვს ის ყოველი დაბანისას რეგულარულად უნდა გადაუწიოს. ესაა მისი ჰიგიენის დაცვის მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სქესობრივი მომწიფების ასაკში სპერმის გამოყოფა იზრდება.

არსებობს კიდევ ფიმოზის ეგრეთ წოდებული ფიზიოლოგიური სახეობა, როცა ბავშვს ჩუჩის კანი დაბადებიდანვე აქვს დანაწიბურებული ხვრელის არესა და სხვა უბნებში. მისი მკურნალობის დაწყება სასურველია 3-4 წლის ასაკიდან, როცა ბავშვს შეგნება მნიშვნელოვნად ეზრდება და უკვე შეუძლია ექიმთან „თანამშრომლობა“.

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ფიზიოლოგიური ფიმოზის სამკურნალოდ კორტიკოსტეროიდების შემცველ, ადგილობრივად მოსახმარებელ ჰორმონალურ მალამოებს, მათი კარგი შემწოვი თვისებების გამო, მინიმალური დოზით იყენებენ, რაც უსაფრთხოა პატარა პაციენტების ჯანმრთელობისთვის და მეტად ეფექტიანი შედეგი მოჰყვება. მკურნალობა 4-8 კვირის განმავლობაში გრძელდება, ხოლო მალამოების გამოყენებისას საჭიროა სწორი ტექნიკა და, რეციდივის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია რეგულარულად ჩუჩის ფრთხილი, არატრავმული რეტრაქცია, ანუ გადაწევა. თანაც, **მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბიჭუნა მიეჩვიოს ამ პროცედურის თავისით რეგულარულად ჩატარებას, რაც ნებისმიერი მამრისთვის ყოველდღიური სავალდებულო რიტუალია მთელი სიცოცხლის მანძილზე.**

ხოლო რაც შეეხება მეორადად განვითარებულ ფიმოზს, მისი მიზეზი შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არის ადრეულ ასაკში მომხდარი ჩუჩის ტრავმული გადაწევით გამოწვეული დანაწიბურება. **მეორე ხშირი მიზეზი კი კანის დაავადება მასკლეროზებელი ლიქენია, რომლის წარმოშობის დროსაც აუცილებელია სამკურნალო პროცესში დერმატოლოგის დროული ჩართულობა.** საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი პაციენტები ხშირად საოპერაციო ჩარევის საჭიროების მაღალი რისკის წინაშე არიან.

**– კიდევ რა პრობლემები აღენიშნებათ უფრო მეტად ბიჭუნებს სასქესო ორგანოებთან დაკავშირებით?**

**გ. მ.** – ადრეულ ასაკში ბიჭებში ხშირია ეგრეთ წოდებული **კრიპტორქიზმი,** ანუ თანდაყოლილი პათოლოგია ჩამოუსვლელი სათესლე ჯირკვალი, რომლის კიდევ ერთი დასახელებაა **ცარიელი სათესლე პარკი.**

ზოგადად, სათესლე ჯირკვლები მუცლის ღრუში ყალიბდება, იქიდან სათესლე პარკში ჩამოსვლის ნორმალური პროცესი კი დაბადებიდან ჩვილის 6 თვის ასაკამდე ხდება. ამ გარემოებიდან გამომდინარე, კრიპტორქიზმის დიაგნოზი ისმება მხოლოდ ამ ასაკის ბიჭებში. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაადრევად დაბადებულ ჩვილებში ეს ხდება შესწორებული ასაკით).

ბავშვის დაბადებისას ჯირკვლის ჩამოუსვლელობა ამ დაავადების გაჩენას ყოველთვის სულაც არ ნიშნავს, მით უმეტეს იმ შემთხვევში, თუკი ბავშვი ნაადრევად დაიბადა. შესაბამისად, ბიჭების გამოკვლევა კრიპტორქიზმის არსებობაზე, ხდება მხოლოდ 6-8 თვის ასაკის მიღწევისას.

**– რა პრობლემებს წარმოშობს ბიჭებში სათესლე ჯირკვლების ჩამოუსვლელობა?**

**ზ. ჯ.** – კრიპტორქიზმთან შემდეგი პრობლემებია დაკავშირებული: პირველია **თვითშეფასების მომენტი,** როცა ბიჭები მეტად მგრძნობიარედ განიცდიან სათესლე ჯირკვლის არარსებობას, რის გამო, შესაძლოა გახდნენ თანატოლების დაცინვის ობიექტები. ეს კი, მომავალში, ადვილი სავარაუდოა, რომ ფსიქოლოგიური ტრავმა გახდეს; მეორეა **უშვილობა** – ორმხრივი კრიპტორქიზმის შემთხვევაში იზრდება უშვილობის რისკები. თანაც, რაც უფრო გვიანდელ ასაკში ხდება სათესლე ჯირკვლის სათესლე აპკში ჩამოტანა, მით უფრო მეტად ზიანდება მისი ეპითელიუმი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცალმხრივი პროცესის დროს უშვილობის რისკები არ იზრდება; მესამე კი **სათესლე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება,** თუმცა, ახალგაზრდა მამაკაცებში ის საკმაოდ იშვიათად წარმოიშვება. კრიპტორქიზმის შემთხვევაში ეს რისკი დაახლოებით ოთხჯერ იმატებს. მალიგნიზაციის (ანუ **ნორმალური ან პათოლოგიურად შეცვლილი ქსოვილის უჯრედების მიერ სიმსივნური უჯრედების თვისებების შეძენა – ო. ტ.**) რისკები მით მეტია, რაც უფრო გვიანდელ ასაკში ჩამოდის ჯირკვალი სათესლე პარკში და მნიშვნელოვანია, რომ ის ისინჯებოდეს. შესაბამისად, მედიკოსები მშობლებს ვაფრთხილებთ, რომ **როდესაც პაციენტი ზრდასრული გახდება, მას აუცილებლად უნდა მიეწოდოს ეს ინფორმაცია და ყოველი დაბანისას ჩამოტანილი სათესლე ჯირკვალი ხელით თავადვე გასინჯოს, რათა მის ზომასა და სტრუქტურაში რაიმე ცვლილებების დადგენისას დაუყოვნებლივ მიმართოს უროლოგს.**

კრიპტორქიზმის დიაგნოზის დასმა პაციენტის სწორ თვითგასინჯვას ემყარება, ხოლო ბავშვები ექიმთან ვიზიტს მუდამ ნეგატიურად აღიქვამენ და გასინჯვის დროს ხშირად ჭირვეულობენ. ამდენად, ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ექიმის მიერ ბავშვის გასინჯვის სწორი მეთოდიკის გამოყენება.

დიაგნოსტირებისთვის ვიყენებთ სათესლე ჯირკვლების ულტრასონოგრაფიას, რათა სწორად შეფასდეს მისი არსებობა და ზომები. ამ დროს, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ძალიან იშვიათად გამოიყენება, ხოლო კომპიუტერული ტომოგრაფია არ არის რეკომენდებული სხივური დატვირთვის გამო.

მდებარეობის მიხედვით, კრიპტორქიზმი შეიძლება იყოს **ინტრააბ დომინური** (ანუ მუცლის ფორმა), **ინგვინალური** (ანუ საზარდულის ფორმა არხის შიგნით ან გარეთ), ასევე **ექტოპიური** – როდესაც მდებარეობა ატიპურია. ე. ი. ისეთი, სადაც ჩამოსვლის პროცესში არ უნდა მოხვედრილიყო.

კრიპტორქიზმებს შორის აუცილებელია გამოვყოთ მოძრავი სათესლე ჯირკვალი. საქმე ის არის, რომ დროდადრო ზოგი ჯირკვალი სათესლე პარკში არ ისინჯება, განსაკუთრებით ექიმთან ვიზიტის დროს. ასეთ შემთხვევაში, მედიკოსები მშობლებს სათესლე ჯირკვლების გასინჯვის სწორ ტექნიკას ვასწავლით და თან ვურჩევთ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გასინჯვა დროდადრო გაიმეორონ, შედეგი კი უროლოგს გააცნონ. თუკი დაკვირვებისას ჯირკვალი სათესლე პარკში ისინჯება, ასეთ პაციენტებზე სასურველია აქტიური მეთვალყურეობის დაწესება.

**– მაგრამ, თუკი სათესლე ჯირკვალი პარკში არ ჩამოვიდა, მაშინ როგორ წარიმართება ხოლმე მკურნალობა?**

– ჩამოუსვლელი სათესლე ჯირკვლის მკურნალობა ხდება ქირურგიული ჩარევით და რაც უფრო დროულად ჩატარდება ორქიდოპექსია, მით უფრო ნაკლებია უშვილობისა და სიმსივნის განვითარების საფრთხე. მკურნალობის დაწყებას ამ შემთხვევაში მშობლებს ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევისას ვთავაზობთ, როცა ის უკვე საკმაოდ გაზრდილია, ამდენად ანესთეზიასთან დაკავშირებული რისკები მინიმალურია. წლინახევრისთვის, ანუ 18 თვის ასაკისთვის სათესლე ჯირკვალი უკვე სათესლე პარკში უნდა იმყოფებოდეს.

**– ალბათ, არსებობს კიდევ რაღაც განსაკუთრებული შემთხვევები, რომელთა დროს საჭირო ხდება მკურნალობის განსაკუთრებული მეთოდური გამოყენება. რას იტყვით ამის თაობაზე?**

– თუკი ბავშვს სათესლე ჯირკვალი არც ხელით, არც ულტრასონოგრაფიით არ ესინჯება, მას გულდასმით საოპერაციოში ვსინჯავთ უკვე ანესთეზიის პირობებში და თუკი ჯირკვლის გასინჯვა ვერც მაშინ შევძელით, პაციენტს ოპერაციას სარევიზიო ლაპარასკოპიით ვუკეთებთ, რა დროსაც, ჯირკვლის არსებობის შემთხვევაში, საზარდულის არხის განაკვეთით გადავდივართ ღია ოპერაციაზე.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კრიპტორქიზმის მქონე ბავშვებში მკურნალობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 18 თვის ასაკისა.

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

## პაციენტს ე.წ. VIP პალატის თანაგადახდის საშუალება ექლევა

**ე.წ. VIP პალატით სარგებლობისთვის პაციენტს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით სარგებლობაზე ერთჯერადი უარის თქმა აღარ მოუწევს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, პაციენტს არჩეული, ე.წ. VIP პალატით სარგებლობისას თანაგადახდის შესაძლებლობა მიეცემა.** – ამის შესახებ აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**„პაციენტს ექნება შესაძლებლობა, ნებისმიერ სტაციონარულ დაწესებულებაში, პროგრამიდან გასვლის გარეშე, ისარგებლოს თანაგადახდით და დამატებით არჩეული პალატის ღირებულება – 350 ლარი (პირველი კატეგორიის), ან 250 ლარი (მეორე კატეგორია) გადაიხადოს.**

**სამინისტროსა და სექტორის ერთობლივი, აქტიური კონსულტაციების შედეგად, განისაზღვრა ე.წ. VIP პალატის კრიტერიუმები, რომელიც სტანდარტულ პალატასთან შედარებით, მთელ რიგ დამატებით პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:**

**უნდა იყოს მაღალი კლასის სასტუმროს ნომრის ფორმის, სამედიცინო დაწესებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით და იზოლირებული უნდა იყოს სხვა პალატებისგან.**

**უნდა მოიცავდეს პაციენტის მოსასვენებელ სივრცეს, საოფისე სამუშაო სივრცეს, სამზარეულო სივრცეს, სააბაზანოს და ოჯახის წევრებთან და სხვა პირებთან შეხვედრებისთვის განკუთვნილ სივრცეს.**

**აღჭურვილი უნდა იყოს პაციენტების მოვლისთვის საჭირო შესაბამისი მოწყობილობებითა და თანამედროვე, უმაღლესი ხარისხის სამედიცინო ტექნიკით და ინვენტარით. აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საყოფაცხოვრებო ტექნიკით და ნივთებით.**

**უნდა ითვალისწინებდეს პაციენტთან თავმდგმურის დარჩენის შესაძლებლობას და სხვა.**

**პაციენტს აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება და თუ მას ე.წ. VIP პალატით სარგებლობა არ სურს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ზოგადი წესის მიხედვით ისარგებლებს.**

**თუ სამედიცინო დაწესებულებაში, სტანდარტული პალატების არარსებობის გამო, პაციენტს ე.წ. VIP პალატაში განათავსებენ, ის დამატებით ღირებულებას არ გადაიხდის.**

**არჩეულ, ე.წ. VIP პალატის სარგებლობისას, თანაგადახდის შესაძლებლობისთვის, შესაბამის ბრძანებას ჯანდაცვის მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა,** – აცხადებენ სამინისტროში.



გელა ლეჟავა

# ერთმა ადამიანმა შეიძლება, იმდენი ნარკოტიკი შემოიტანოს, რომ 30 ადამიანი სიკვდილამდე მიიყვანოს!



**რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას ნარკოლოგთა ნაწილი არ ემხრობა იმ მოტივით, რომ სიმკაცრეს შედეგი არ მოაქვს. ისინი მოელიან, რომ ახალი ნარკოპოლიტიკის შედეგად, ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე დიდი რიგები გაჩნდება და ადამიანების უფლებები შეილახება. თუმცა ვერავინ გაექცევა იმ ფაქტს, რომ არც ლოიალურ პოლიტიკას მოაქვს შედეგი ისეთ სენთან, როგორიც ნარკომანიაა.**

**ნარკოლოგი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა ლეჟავა ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას მიესალმება. For.ge გელა ლეჟავას ესაუბრა.**

**– ნარკოტიკების რეალიზაცია გაუტოლდება მკვლელობას და მცირე ოდენობით გაყიდვისთვისაც კი იქნება 12-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. მავანნი ამას „ქართული ოცნების“ რეპრესიების მორიგ ტალღას უწოდებენ და არაფრად მიიჩნევენ იმას, მაშინ რა გამოსავალი რჩებოდა სახელმწიფოს, გარდა იმისა, რომ მოეთოკა ნარკომოვაჭრეების თვითნებობა და ერის დეგრადაციისთვის მშვიდად არ ეცქირა?**

– ხელისუფლების მიერ ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას მივესალმები. მიმაჩნია, რომ დღევანდელ საქართველოში ეს არის ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი საქმე. თავის დროზე, როდესაც პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ბატონმა ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ მას ორი მიზანი ჰქონდა – კორუფციასა და ნარკომანიასთან ბრძოლა. ამდენად, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი უკვე გადაიდგა, ადმინისტრაციულ კოდექსში შევიდა გარკვეული ცვლილებები. მნიშვნელოვანი ნაბიჯია, იმიტომ რომ თუ ქართველებს მოგვსპობს ნარკომანია, მერე გინდა ირანს დაქვემდებარებული იყოს ჩვენი ტერიტორია, გინდა თურქეთს, გინდა რუსეთს, ამას არანაირი აზრი არ ექნება, ქართველები თუ არ ვიქნებით.

**– აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის ფაქტიც, რომ, თუ ვთანხმდებით, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ავადმყოფია, მაშინ მხოლოდ ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ უნდა იყოს სიმკაცრე, თუ მომხმარებლების მიმართაც?**

– ცხადია, ნარკოტიკების გამავრცელების მიმართ უნდა იყოს სიმკაცრე, თუმცა, სამწუხაროდ, ნარკომანია ისეთი დაავადებაა, თუ არ ეშინია ადამიანს, ისე ვერ გააჩერებ. ამიტომ მომხმარებელსაც გარკვეული შიში უნდა ჰქონდეს.

**– ცალკეული ადამიანები მიიჩნევენ, რომ მაინცდამაინც არც მეტადონის პროგრამა ამართლებს, რადგან ნარკოტიკის ჩანაცვლების ნაცვლად, ახალ დამოკიდებულებას იწვევს ამ ნივთიერებაზე, ანუ იგივე ოპიოიდზე. შესაძლოა, ადამიანმა ჰეროინის მოხმარება შეწყვიტოს, მაგრამ შეეჩვიოს მეტადონს და მასზე დამოკიდებული გახდეს. თქვენ რას ფიქრობთ?**




– მეტადონის პროგრამა იყო და იქნება. სამწუხაროდ, არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელმაც თუ დაიწყო ნარკოტიკის მიღება, ვეღარ ჩერდება. ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალია მეტადონი. მე მაგალითად, ისრაელში მინახავს ხალხი, ვინც მეტადონის პროგრამაშია და მერე ამწეზე მუშაობს, ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს?! ამიტომ თუ სწორად იქნება შერჩეული პროგრამა, შეიძლება ადამიანი მეტადონს იღებდეს და მერე ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდეს.

**– ნარკოტიკების მოხმარება ხშირად ერთმანეთის მიბაძვით ხდება, დაახლოებით ისე, როგორც სიგარეტის მოწევისას ბაძავენ ერთმანეთს. განსაკუთრებით, მიმბაძველობა ხშირია კლუბური ნარკოტიკების გასინჯვისას. რამდენად საშიშია მოდაში შემოსული კლუბური ნარკოტიკები?**

– კლუბური ნარკოტიკები ძალიან ცუდი რამაა. ამ ტიპის ნარკოტიკები დამღუპველია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის პირველი და ძალიან სერიოზული ნაბიჯი ნარკომანიისკენ. როდესაც ახალგაზრდა კლუბურ ნარკოტიკს 2-3-ჯერ იღებს, ამას ვერ გრძნობს და შემდეგ, როდესაც იგრძნობს, ნარკოტიკებზე თავის დანებება ძალიან უჭირს. ასეთი უბედური რამეა ნარკოტიკები.

**– ნარკოპოლიტიკის გამკაცრებაში ოპოზიცია იძულებითი ნარკოტესტირების რისკებს ხედავს. ისინი ეჭვობენ, რომ ახალი ნარკოსასჯელები ოპონენტების დევნის საშუალება იქნება.**

– იძულებითი ნარკოტესტირება იმ პირების მიმართ დაიწყება, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ ნარკომანები. სიტყვაზე, ასეთი შეიძლება იყოს მანქანის მძღოლი, ასევე, პირი, რომელსაც იარაღი აქვს. თუ ისინი შემჩნეულნი არიან ნარკოტიკების მოხმარებაში, მათი ნარკოტესტირება მოხდება. არის მთელი რიგი კატეგორიები, რომლებსაც ტესტის გავლას სთხოვენ. თუ ადამიანი წესიერია და ნარკოტიკს არ იღებს, მივა და გაივლის ტესტირებას, ხოლო თუ ნარკომანია, ე.ი. იქ არ უნდა მუშაობდეს, სადაც ამჟამად მუშაობს. რაც შეეხება ოპოზიციის შიშს, რომ ოპონენტების დევნის საშუალება არ გახდეს ახალი ნარკოპოლიტიკა, ასე ნებისმიერი რამ შეიძლება ვიღაცის წინააღმდეგ გამოიყენონ. მე არ ვიცი, გამოუყენებიათ თუ არა ნარკოპოლიტიკა ადამიანების წინააღმდეგ, ეს უკვე პოლიტიკაა და ჩემს კომპეტენციას სცილდება, მაგრამ აბსოლუტურად დაუშვებელია ნარკოპოლიტიკის შერბილება იმის შიშით, რომ რომელიმე ოპონენტის წინააღმდეგ არ გამოიყენონ ეს კანონი. როგორ შეიძლება, არ დაიწყონ ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ. ევროპაში მოსახლეობის გამოკვლევა ჩაატარეს ნარკოტიკების მიღების თაობაზე და საკმაოდ მძიმე მასალას მოუყარეს თავი. როგორც ამბობენ, ნარკოტიკების მოხმარება გერმანიაში შედარებით თავისუფლადაა, ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ გერმანიაში ნამყოფი ვარ, დღის სტაციონარი ჰქვია იქაური ნარკომანების სამკურნალო ცენტრს. დღის სტაციონარში ნარკომანის ერთი დღე დაახლოებით იმდენი ჯდება, რამდენ პენსიასაც იღებს საქართველოში ადამიანი. უამრავი ისეთი რამეა, რაშიც ევროპას საშუალება აქვს, ფული დახარჯოს, საქართველოს კი ამის შესაძლებლობა არ აქვს.

გარდა ამისა, იმავე გერმანიაში, სიტყვაზე რომ ვთქვათ, 3 მილიონი ადამიანი რომ დაიღუპოს, არაფერი არ უჭირს გერმანიას, საქართველო კი იმ ზღვრამდეა მისული, თუ კიდევ დაიკლო მოსახლეობის რაოდენობამ, მისი აღდგენა ვერ მოხდება. ამიტომ ნუ გვთხოვენ ჩვენ ჰოლანდიის მაგალითის გადმოღებას. იქ ასი დოლარი იხარჯება ერთ პიროვნებაზე ნარკომანიის ხაზით, საქართველოში კი იხარჯება 3-5 ლარი. ზოგიერთები აპროტესტებენ იმასაც, რომ ახლანდელი კანონმდებლობით, მკვლელობას უტოლდება ნარკოტიკების გავრცელება.

საუბარია იმათზე, ვისაც ნარკოტიკი შემოაქვს. ერთმა ადამიანმა შეიძლება, იმდენი ნარკოტიკი შემოიტანოს, რომ 30 ადამიანი სიკვდილამდე მიიყვანოს. ახლა ამას გინდა მკვლელობა დაარქვან, გინდა არა, ეს მათი საქმეა...

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

## მკვლელობის დღეს ახლობლის პანაშვიდზე იყო...



**გასულ ღამეს ვაკეში, დაახლოებით 11 საათზე მოკლული 58 წლის ბიზნესმენი, ე.წ კანონიერი ქურდის მერაბ ჯანგველაძის ძმა ლევან ჯანგველაძეა. ძმები ჯანგველაძეები სოხუმიდან არიან.**

როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, ლევანი მოსკოვიდან ჩამოფრინდა და მკვლელობის დღეს იყო ახლობლის პანაშვიდზე.

**„ასე მითხრეს მიცვალებული თვითონ ჩამოასვენაო. ყველას ეხმარებოდა ლევანი, ბიზნესები ჰქონდა რუსეთში. რამდენს სიცოცხლე შეუნარჩუნა. იყო უაღრესად კეთილი. მეუღლე მოსკოვიდანაა. 2 შვილი ჰყავთ. ლევანს თბილისში ჰყავს დედა და და.“**, – გვიყვება ინფორმირებული წყარო.

58 წლის ბიზნესმენს თბილისში დაკრძალავენ. შსს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## ამოღებულია 1 შეკვრა კოკაინი, იარაღი და 18 ვაზნა...

**საბერძნეთში სალონიკის პოლიციამ 48 წლის ქართველი ქალი დააკავა.**

პოლიციამ მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 1 შეკვრა კოკაინი, იარაღი, 2 მჭიდი და 18 ვაზნა ამოიღო. დაკავებულს ბრალად ედება ნარკოტიკების და იარაღის უკანონო შენახვა.

## თბილისში 21 წლის ბიჭი მოკლეს

**თბილისში 21 წლის გიორგი ახალაია მოკლეს. მკვლელობა 16 მარტს, გვიან ღამით მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. უწყებაში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.**



ახალგაზრდა კაცი ცივი იარაღითაა მოკლული. თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბარში დაწყებული სიტყვიერი დაპირისპირება ქუჩაში გაგრძელდა. დაჭრილი ახალგაზრდა კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა, მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ მოახერხეს.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ახალაია მოკრივე იყო. ის 16 მარტს გახდა 21 წლის.

## დმანისში მძიმე ავარიის გამო „ნოვრუზ ბაირამი“ აღარ გაიმართება!

**– ამის შესახებ** ინფორმაციას დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

**„გულითადად ვწუხვართ დმანისის მუნიციპალიტეტში მომხდარი ტრაგიკული ავარიის გამო, რომელმაც ორი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.**

**გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს თანავუგრძნობთ ამ მძიმე დროს.**

**მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, გავაუქმოთ ნოვრუზ ბაირამის ღონისძიება“**, – წერია ინფორმაციაში.

## მოტოციკლი ქვეითს შეეჯახა – დაღუპულია ორი ადამიანი

**შემზარავი ავტოსაგზაო შემთხვევა ბათუმში – მოტოციკლი ქვეითს შეეჯახა, შედეგად ორივე ადამიანი დაიღუპა. შემთხვევა აეროპორტის გზატკეცილზე მოხდა.**

ადგილზე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებული.

## იმერეთის პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის და თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით 2 პირი დააკავეს.**

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ შეძენა, შენახვის და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებული არიან წარსულში ნასამართლევი პირები: 2002 წელს დაბადებული ი.ა. და 2002 წელს დაბადებული მ.კ. დანაშაული 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.



# პრეზიდენტი ულოცავს

**პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი რუსთავში ჩატარებულ კრივის საერთაშორისო ასპარეზობას გამოეხმაურა და ქართველ მოკრივეებს მიღწეული შედეგი მიულოცა.**

**„ვულოცავ ქართველ მოკრივეებს რუსთავში საერთაშორისო სარეიტინგო ბრძოლებში მიღწეულ წარმატებას.განსაკუთრებით მსურს მივულოცო ჩვენს სახელოვან სპორტსმენს, ოლიმპიურ მედალოსანს, ლაშა გურულს გამარჯვება – მან პროფესიონალურ კრივში პირველი ბრძოლა გამართა და განელი მეტოქე დაამარცხა“,** – წერს **მიხეილ ყაველაშვილი.**

# ჭაბუკა მახარაძის იტალიური დუბლი

**იტალიის ქალაქ ტრევიზოში გაიმართა ტრადიციული, ყოველწლიური საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში „Heart Cup“, რომელშიც 20-მდე ქვეყნის 1500-ზე მეტ სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის უფროსმა ინსტრუქტორმა, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ჭაბუკა მახარაძემ ოქრო მოიპოვა ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში. მან ეს პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი უკვე მეორედ მოიგო.**

**ჭაბუკა მახარაძე:**

– „Heart Cup“ ეს არის იტალიაში ერთ-ერთი ცნობილი, შოტოკან კარატეს საერთაშორისო ჩემპიონატი, რომელიც წელს ქალაქ ტრევიზოში მეცხრედ გაიმართა. შეჯიბრის ორგანიზატორი იყო იტალიის შოტოკან კარატეს ფედერაცია, რომლის პრეზიდენტია **პაოლო არლოტი** (VII დანი). ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, – 2 დღის განმავლობაში 6 ტატამზე მიმდინარეობდა ასპარეზობები შეუფერხებლად და კონკურენციის ფარგლებში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში როგორც კატაში, ასევე კუმიტეში.

კონკურენცია მართლაც ძალიან მაღალი იყო თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ არა მარტო ევროპის, ასევე აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სპორტსმენები, – ჩილე, არგენტინა, მალაიზია, ისრაელი, ეგვიპტე, ტაილანდი...

მინდა ისიც გითხრათ, რომ ქვეყნებს შორის მედლების რაოდენობის მიხედვით რეიტინგში საქართველო მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა, ამ შედეგით ჩვენ ისეთი ქვეყნების დიდ სპორტულ დელეგაციებს გავასწარით, როგორიც არის გერმანია, ესპანეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, საბერძნეთი, ლატვია.



# ქართული რევანში



**ლას ვეგასში გამართულ UFC-ს საღამოზე რომან დოლიძემ მარვინ ვეტორი დაამარცხა და რევანში აიღო. ქართველმა სპორტსმენმა 5-რაუნდიან დაპირისპირებაში აჯობა მეტოქეს.**

მან ბრძოლის შემდეგ უიტეკერი და ადესანია გამოიწვია და ორგანიზაციის ხელმძღვანელს ტოპ 5-მებრძოლთან ჩხუბის ჩანიშვნა სთხოვა.

**„ნებისმიერი გამარჯვება კარგია, მაგრამ ვეტორთან რევანში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მინდოდა ის მოგება დამებრუნებინა, რაც ლონდონში წამართვეს. იმედი მაქვს, რომ ჩემი მეტოქე მალე გამოჯანმრთელდება. ის ძლიერი მებრძოლია. საჭიროების შემთხვევაში, ხუთი რაუნდისთვისაც მზად ვიყავი.**

**მარვინს მადლობას ვუხდი, რადგან ის ჩემთან ბრძოლას დათანხმდა. მნიშვნელოვანი ტესტი იყო. უმაღლეს დონეზე ვარ. ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ჩემს აგრესიას ვაკონტროლებდი, რაც გადამწყვეტი მომენტი იყო. ვფიქრობ, დავიმსახურე, რომ ჩემი შემდეგი მოწინააღმდეგე ტოპ 5-დან დამინიშნონ. რობერტ უიტეკერი ან ადესანია!! მომეცით მათთან ბრძოლა, სხვა არაფერი მინდა“,** – განაცხადა **რომან დოლიძემ.**

შეგახსენებთ, რომ შერეულ ორთაბრძოლებში ქართველის ანგარიშზე 15 გამარჯვება და 3 მარცხია.

# ფრთხილად — ჟორჟია!

**ტყუილად როდია ნათქვამი – მოთმინებითა შენითაო... გიორგი მიქაუტაძეზე მოგახსენებთ, სერაინგსა და მეცში ბომბარდირობის შემდეგ აიაქსში გატარებულმა ნახევარმა მშრალმა სეზონმა კალაპოტიდან რომ ამოაგდო და საკუთარი თავის პოვნა ლიონშიც რომ გაუჭირდა.**

საბედნიეროდ, უგოლო გვალვა უკვე უკან დარჩა, ჟორჟი თანდათან ფრანგული გრანდის ძირითად შემადგენლობასაც გაუშინაურდა და ევროპა ლიგაზე დუბლით გაგვახარა.

ეს ბუქარესტის სტიაუასთან საპასუხო საშინაო მერვედფინალში მოხდა, რასაც რუმინელთა რისხვამ ასისტის დუბლიც დაუმატა – 4:0 (პირველი მატჩი – 3:1).

**ევროპა ლიგა**
**მეოთხედფინალი**
**10 და 17 აპრილი**
**ლიონი – მანჩესტერი,**
**ბოდო გლიმტი – ლაციო,**
**ტოტენჰემი – აინტრახტი,**
**რეინჯერსი – ბილბაო.**

**კონფერენს ლიგა**
**მეოთხედფინალი**
**10 და 17 აპრილი**
**ბეტისი – იაგელონია,**
**ცელიე – ფიორენტინა,**
**იურგორდენი – რაპიდი,**
**ჩელსი – ლეგია.**

ამასობაში მოახლოვდა ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებელი პლეი-ოფი, სადაც მიქაუტაძეს რევანშის შანსი ექნება. შეგახსენებთ, რომ უიღბლო ჰოლანდიურ კარიერაში ჟორჟს აიაქსში **ჯონ ვან შიპი** ავარჯიშებდა და თითქმის არ აძლევდა ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალებას, ამჟამად კი ეს სპეციალისტი, ჩვენს მომავალ მეტოქეს – სომხეთს წვრთნის.

აქამდე ვიცოდით, რომ დისკვალიფიკაციის გამო ჯვაროსნებს 20 მარტს 21 საათზე დანიშნულ ერევნის პირველ რაუნდში კაშია და კვარაცხელია დააკლდებოდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, მეზობლებს კიდევ უფრო საგრძნობი საკადრო პრობლემები შექმნიათ.

დიახ, ტრავმების გამო მასპინძლებს სპერციანი, არუთინიანი, ბალეკიანი და კალისირი ვერ დაეხმარებიან, სელარაიანი კი ოჯახური პირობების გამო არ ეყოლებათ.

დავძენთ, რომ კაშიას არყოფნაში სტუმრებს პირველად უკაპიტნებს კიტეიშვილი, საპასუხო შეხვედრა კი 23 მარტს დინამო არენაზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

# ქირურგიულ ჩარევამდე

**ვირტუსს არც მწვრთნელის შეცვლამ უშველა და იტალიის სერია – ა-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ევროლიგის 29-ე სათამაშო დღეს ზედიზედ მე-7 შეხვედრა საკუთარ დარბაზში მადრიდის რეალთან 67:80 წააგო.**

უცვლელია ბოლონიელთა ქართველი ვარსკვლავის **თორნიკე შენგელიას** სტაბილურობაც, რომელიც ამჯერად პარტნიორებს ბრძოლის ველზე გატარებულ 22 წუთში 8 ქულით, 7 მოხსნითა და თითო ასისტ-ჩაჭრით შეეწია, რამაც სარგებლიანობის 13-პუნქტიანი, ანუ მასპინძელთა შორის საუკეთესო კოეფიციენტი შეადგინა.

**სატურნირო მდგომარეობა რეგულარული სეზონის ფინიშამდე 5 ტურით ადრე:** ოლიმპიაკოსი – 22, ფენერბახჩე – 20, პანათინაიკოსი – 18, ბაიერნი, მონაკო – 17, ბარსელონა, პარიზი, ცრვენა ზვეზდა, მილანი – 16, პარტიზანი, რეალი, ეფესი – 15, ჟალგირისი – 14, ბასკონია – 12, ვილერბანი – 11, მაკაბი – 9, ვირტუსი – 7, ალბა – 5 გამარჯვება.

ასე რომ, აპენინების საკლუბო კალათბურთის გრანდს **დუშკო ივანოვიჩის** თავკაცობით ისღა დარჩენია, წლეულს საშინაო ტიტულის მოხვეჭაზე იზრუნოს, საგაისოდ კი კლაიბერნის გამოჯანმრთელებასა და გუნდის ახალი სოლისტებით გაძლიერებას დაელოდოს.



# ჩვენი ბოსნია

**ყოფნა – არყოფნაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთი დატვირთვა ჰქონდა საქართველოსა და ბოსნიის ხელბურთელთა ეროვნული ნაკრებების შეხვედრის შედეგს ტიტე კალანდაძის გაწვრთნილი გუნდისათვის, რადგან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი 2 წაგებით დავიწყეთ და კონტინენტური ფორუმის ფინალურ რაუნდში ზედიზედ მე-2 გასვლა სათუო ჩვენ თვითონვე გავიხადეთ.**

გარდა წმინდა სპორტული ფაქტორისა, აღნიშნული მატჩი ერთგვარ ლაკმუსის ქაღალდს წარმოადგენდა ნაცკლასტერისათვის, რომელსაც ჯვაროსანთა თითოეული წარმატება გულზე ეკლად ესობა, თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე კი ბიჭებისა და მთელი სტაფის ღირსების ორდენებით დაჯილდოებამ ხომ აგენტურული ოპოზიცია მთლად დასაბმელი გახადა. მოკლედ, წაფორხილების უფლება აღარ გვქონდა.

**საქართველო – ბოსნია 28:26**
**პირველი ტაიმი 15:14**

**საქართველო:** ცხოვრებაძე – 11, ორჯონიკიძე – 6, კბილაშვილი – 5, დიხამინჯია – 3, რუსტამოვი – 2, არსენაშვილი – 1 გოლი. ითამაშეს აგრეთვე ცინცაძემ, ნიქაბაძემ, გავაშელიშვილმა და გუგავამ.

ანგარიშიც მეტყველებს, რომ პრინციპულ მეტოქეს, ჩვენთვის სადებიუტო ისტორიული გერმანული ევრო – 2024-ის ჯგუფური ეტაპის მსგავსად, ამჯერადაც ნერვების ომი მოვუგეთ. სავარაუდოდ, მიზნის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება 7 მაისს თბილისში ბერძნებთან რევანშის აღებას სტარტზე სტუმრად სენსაციური წაგებისათვის – 26:.27, ხოლო შესარჩევ ციკლს 11 მაისს ისლანდიაში ჩვენი კვარტეტის უპირობო ფავორიტთან უთანასწორო ბრძოლით დავხურავთ. თუმცა, ვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები უმოტივაციო გრანდთან მატჩში.

# გიჟთა სავანე

**მაშ ასე, სტარტზეა ფორმულა – 1-ის 76-ე სეზონი, რომლის 9-თვიანი მარათონიც 24 ეტაპს მოიცავს, საიდანაც 3 გრან-პრის აშშ უმასპინძლებს (მაიამი, ოსტინი და ლას ვეგასი), ხოლო 2-ს – იტალია (იმოლა და მონცა).**

ალბათ, დაგაინტერესებთ დანარჩენ რჩეულ ქვეყანათა ნუსხაც: ავსტრალია, ჩინეთი, იაპონია, ბახრეინი, საუდის არაბეთი, მონაკო, ესპანეთი, კანადა, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, უნგრეთი, ნიდერლანდები, აზერბაიჯანი, სინგაპური, მექსიკა, ბრაზილია, კატარი და საამიროები.

შეგახსენებთ, რომ ბოლო 4 ტიტულის მფლობელი მფრინავი ჰოლანდიელი **მაქს ფერსტაპენი** გახდა, ახალი სეზონის მთავარ ინტრიგას კი ფერარიში 7-გზის ტრიუმფატორი ბრიტანელის **ლუის ჰემილტონის** დებიუტი წარმოადგენს.

რაც შეეხება კონსტრუქტორთა დავას, სპეციალისტთა აზრით, წარმატების მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი რედ ბულს, ფერარის, მაკლარენსა და მერსედესს ექნებათ, ტრასის ჯადოქარ გუნდთა შემადგენლობები კი ასეთია:

**ალპინი** – გასლი, დუენი.
**ასტონ მარტინი** – ალონსო, სტროლი.
**ჰაასი** – ბერმანი, ოკონი.
**ზაუბერი** – ბორტოლეტო, ფიულკენბერგი.
**მაკლარენი** – ნორისი, პიასტრი.
**მერსედესი** – ანტონელი, რასელი.
**ბულსი** – ჰაზარი, ცუნოდა.
**რედ ბული** – ლოუსონი, ფერსტაფენი.
**ფერარი** – ლეკლერი, ჰემილტონი.
**უილიამსი** – ალბონი, საინსი.




# მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს

## III საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ევროპის უნივერსიტეტში“

**2025 წლის 14-15 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, "ევროპის უნივერსიტეტის" აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ორგანიზებით, "ევროპის უნივერსიტეტის" ზურაბ ჟვანიას სახელობის საპარლამენტო დარბაზში III საერთშორისო სამეცნიერო სესია გაიმართა.**

„სესია „ევროპის უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების, ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევების განვითარების ფარგლებში ჩატარდა.

სესია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა და „ევროპის უნივერსიტეტის“ არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესორმა სანდრო ნონეშვილმა გახსნეს.

უნივერსიტეტი რეგულარულად მასპინძლობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებს, რაც მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. რიგით მესამე საერთაშორისო სამეცნიერო სესია აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 95 წლისთავს მიეძღვნა.

სესიაზე საველე კვლევა-ძიების ანგარიშები წარადგინეს, როგორც ქართველმა (თბილისის, რუსთავის, მცხეთის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის სამეცნიერო ცენტრებიდან), ასევე უცხოელმა არქეოლოგებმა (ავსტრიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან):

**„ევროპის უნივერსიტეტის“ ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი 2017 წლიდან აქტიურად არის ჩართული არაერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და საგამომცემლო ღონისძიებაში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უნივერსიტეტის მისწრაფებას, ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, დაცვასა და პოპულარიზაციას.**

# სისხლის რომელი ჯგუფია სხვადასხვა დაავადებისკენ მიდრეკილი?!

**ბევრი ადამიანი არც კი ფიქრობს ამაზე, სანამ არ გადაწყვეტს შვილის გაჩენას ან სანამ დონორი არ დასჭირდება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თქვენ არ შეგიძლიათ სისხლი გადაუსხათ ნებისმიერ ადამიანს. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ჯგუფს შეუძლია „გვაცნოს“ გარკვეული დაავადებებისადმი მიდრეკილების შესახებ.**




### 1. თრომბები

სისხლის შედედების მინიმალური რისკი პირველ ჯგუფშია, მეორე და მესამე ჯგუფში 30%-ით მეტია, მეოთხეში კი 20%-ით.

### 2. კუჭის კიბო

აქ ისევ პირველი ჯგუფის მქონეებს „გაუმართლათ“. მაგრამ მეორეს გაცილებით მაღალი რისკი აქვს, მაგრამ ამის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

### 3. წყლულები

ამ საკითხში მეორე და მესამე სისხლის ჯგუფის მქონეებს გაუმართლათ, პირველის მქონეებს კი შესაძლოა კუჭის წყლული უფრო მეტად აწუხებდეთ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია ინფექციაზე სხვადასხვა იმუნურ პასუხზე.

### 4. გულის უკმარისობა

ყველაზე მაღალი რისკია მესამე და მეოთხე ჯგუფში, პირველ და მეორეში კი მეოთხედით ნაკლებია. რატომ ხდება ასე, ჯერ არავინ იცის.

### 5. პანკრეასის კიბო

ისევ პირველ ჯგუფში მყოფებს აქვთ დაავადების ყველაზე დაბალი შანსი, მაგრამ მეორე ჯგუფს 32%-ით მაღალი რისკი აქვს, მეოთხე ჯგუფს 51%-ით, ხოლო მესამე ჯგუფს 72%-ით.

ეს სტატისტიკა დაკავშირებულია გენეტიკურ ფაქტორებთან, ასევე სისხლის ანტისხეულების გავლენას ორგანიზმში ანთებაზე.რა თქმა უნდა, სისხლის ჯგუფის შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ ჯანსაღი ცხოვრების წესით და შეამციროთ მრავალი დაავადების რისკი, რომლებიც დაკავშირებულია არასწორ კვებასთან, მოწევასთან, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებასთან და ვარჯიშის ნაკლებობასთან.

# ეძღვნება პირველ ქართველ ქალ ეთნომუსიკოლოგს თამარ მამალაძეს...



ფოლკლორის ცენტრი წელს მსოფლიო მნიშვნელობის, უნიკალურ გამოცემას გეგმავს, რომელიც პირველ ქართველ ქალ ეთნომუსიკოლოგს **თამარ მამალაძეს** ეძღვნება.

**„ანზორ ერქომაიშვილის გზა გრძელდება და მთელს საქართველოში დავიწყეთ არქივის აღრიცხვა, სად რა ჩანაწერია, სად რა მასალა ინახება ქართულ ფოლკლორზე და ჩვენ რომ გვეგონა, ყველაფერი ვიცოდით, ნახევარიც არ არის ცნობილი. ერთი ქალბატონია თამარ მამალაძე, რომელიც 50-იან წლებში დადიოდა მთელს საქართველოში და აქვს უნიკალური ჩანაწერები. არა მარტო საქართველოში დადიოდა, არამედ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც და ჩატარებული აქვს უნიკალური ექსპედიციები.**

**მესამე წელია მის არქივს ვამუშავებთ, ვამზადებთ, არის აუდიოჩანაწერების სახით, ასევე ხელნაწერების სახით და წელს გამოვცემთ წიგნის სახით. ეს იქნება მსოფლიო მასშტაბის გამოცემა, იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდში, 50-იან წლებში, ვერ ნახავთ ვერცერთ ქვეყანაში, რომ ქალი სადმე წასულიყოს ფოლკლორულ ექსპედიციაში, ამაშიც კი ძლიერები ვართ.**

**ასევე, წელს გამოვცემთ გალობის ანთოლოგიის კიდევ 4 ტომს. ამ დრომდე 30 ტომი უკვე გამოცემული გვაქვს. 15 ათასამდე საგალობელი გვაქვს ჩაწერილი ნოტებზე ჩვენი წინაპრების მიერ, ჩვენი წმინდანების მიერ, ესენი იყვნენ ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე, ძმები კარბელაშვილები. ამის დამუშავება მიდის და შემდეგ გამოიცემა ანთოლოგიის სახით“,** – განაცხადა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა **გიორგი დონაძემ.**



# ამერიკის ხმა პირველად არ გავიდა ეთერში!




„ამერიკის ხმის“ დირექტორმა **მაიკლ აბრამოვიჩმა** განაცხადა, რომ აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული მედიასაშუალება მთლიანად იხურება და მისი მთელი პერსონალი „ადმინისტრაციულ შვებულებაში“ გადის.

**„ღრმად ვწუხვარ, რომ პირველად 83 წლის განმავლობაში ლეგენდარული „ამერიკის ხმა“ დუმს. დღეს დილით შევიტყვე, რომ „ამერიკის ხმის“ თითქმის ყველა თანამშრომელი – 1300-ზე მეტი ჟურნალისტი, პროდიუსერი და დამხმარე პერსონალი – ადმინისტრაციულ შვებულებაში გადის, მათ შორის მეც“,** – ნათქვამია აბრამოვიჩის განცხადებაში.

**შეგახსენებთ, რომ ტრამპმა გასცა ბრძანება შეერთებული შტატების გლობალური მედიის სააგენტოს (USAGM) თანამშრომლების შემცირების შესახებ, რომელიც აკონტროლებს ხუთ მსხვილ ამერიკულ მედია კორპორაციას, რომლებიც მაუწყებლობენ 49 ენაზე, მათ შორის რადიო „თავისუფალი ევროპა“/„რადიო თავისუფლება“ და „ამერიკის ხმა“. ასევე ცნობილი გახდა, რომ რადიო „თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების“ საგრანტო დაფინანსება აშშ-ს კონგრესის მიერ დამტკიცების მიუხედავად, შეწყდა.**

# ევროპაში წითელას ეპიდემიაა

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და იუნისეფის ევროპის რეგიონში წითელას შემთხვევების მაჩვენებელმა 1997 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია.**

შემთხვევების 40%-ზე მეტი ხუთ წლამდე ბავშვებზე მოდის. ორივე ორგანიზაცია მოუწოდებს ევროპის რეგიონს, დაუყოვნებლივ მიიღონ შესაბამისი ზომები ვაქცინაციის მაჩვენებლის ასამაღლებლად. 2024 წელს ევროპის რეგიონში წითელას 127 350 შემთხვევა დადასტურდა, რაც 1997 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. სპეციალისტების თქმით, ეს არის მსოფლიოს საერთო მაჩვენებლის მესამედი.

**ჯანმოს ინფორმაციით, 2023 წელს წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია ნახევარმა მილიონმა ბავშვმა არ გაიარა. ცნობისთვის, წითელას საწინააღმდეგო ვაქცინა ინფექციისგან 97%-ით იცავს.**

სპეციალისტების აზრით, წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია აუცილებელია. ისინი აღნიშნავენ, რომ წითელა ერთ-ერთი სერიოზული ინფექციური დაავადებაა და მას ისეთი გართულებების გამოწვევა შეუძლია, როგორებიცაა: პნევმონია, ენცეფალიტი, სიბრმავე და სხვა.

# აშშ-ში ძლიერი შტორმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 34-მდე გაიზარდა

**აშშ-ში ძლიერი ქარიშხლისა და ტორნადოების შედეგად დაღუპულთა რიცხვი ექვს შტატში 34-მდე გაიზარდა. აქედან მისურის შტატში 12 ადამიანია დაღუპული.**

მომაკვდინებელი ტორნადოს შედეგად წაქცეულია ხეები და მიწასთან გასწორებულია საცხოვრებელი სახლები. სულ მცირე რვა ადამიანი დაიღუპა კანზასში ქარიშხლით გამოწვეული ავარიების შედეგად, რომლებშიც 55-ზე მეტი მანქანა მონაწილეობდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის დირექტორის როის მაკის თქმით, სამი ადამიანი უოლთოლის ოლქში დაიღუპა. კიდევ ერთი ადამიანი კი კოვინგტონის ოლქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ორივე ოლქში ასევე იტყობინებიან რამდენიმე დაშავებულის შესახებ. მისისიპის შტატს ორი ტორნადო დაატყდა თავს, წაქცეულია ხეები და დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები, დაშავდა რამდენიმე ადამიანი.



# საურმაგ ღამბაშიძის პატივსაცემად



## გამორჩენილ, დამსახურებულ მხატვარს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს საურმაგ ღამბაშიძეს 19 მარტს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა...

ცნობილი ქართველი ფერმწერი საურმაგ ღამბაშიძე დაიბადა 1925 წლის 19 მარტს.

1944 წელს იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის პეიზაჟის სპეციალობაზე შევიდა, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ: მოსე თოიძე, სანდრო ციმაკურიძე, ვალენტინ შერპილოვი, ვახტანგ ბერიძე, სერგო ქობულაძე, რომელთანაც საქმიანი და პირადი ახლო ურთიერთობაც ჩამოუყალიბდა.

1950 წელს მან დაამთვრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მუშაობა დაიწყო თბილისის იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო ტექნიკუმში ხატვისა და ფერწერის პედაგოგად. ასევე მუშობდა საქართველოს მეცნიერებათ ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მხატვრად.

საურმაგ ღამბაშიძე ხშირად იღებდა მონაწილეობას არაერთ გამოფენაში.

1963 წელს საურმაგ ღამბაშიძე ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სამრეწველო გრაფიკის განყოფილების გამგედ დაინიშნა, რომლის დამფუძნებელად თავად ითვლება.

1964 წელს მას საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

1970 წელს ს. ღამბაშიძის ინიციატივით ჩატარდა სამრეწველო გრაფიკის პირველი საერთაშორისო გამოფენა.

1970 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სავაჭრო პალატის დიპლომით,პარიზში საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა და წარმოებისადმი მიძღვნილი გამოფენის ქართული ექსპოზიციის ორგანიზებისთვის.

1971 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სავაჭრო პალატის დიპლომით, ბაზელში საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა და წარმოებისადმი მიძღვნილი გამოფენის ქართული ექსპოზიციის ორგანიზებისთვის.

1973 წელს დაინიშნა საქართველოს მხატვართა კომბინატის დირექტორად.

გარდა ფერწერისა და გრაფიკისა, საურმაგ ღამბაშიძე წიგნის მხატვრობაშიც მუშაობდა და მონუმენტურ ხელოვნებასაც ქმნიდა. მისი მოზაიკები იყო და არის, როგორც საქართველოში (აბასთუმანი, გაგრა, ვანი...), ასევე უკრაინასა და რუსეთში (კუზნეცოვსკი, როსტოვი).

საურმაგ ღამბაშიძე მუშაობდა ხეზეც. არქიტექტორ თამაზ გუნიასთან ერთად მას ოკამის ღვინის ქარხანა აქვს გაფორმებული.

საურმაგ ღამბაშიძე 2017 წლის 13 სექტემბერს გარდაიცვალა.

საქართველოს კულტურის ფონდი, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ აწყობს საურმაგ ღამბაშიძის პერსონალურ გამოფენას მიმდინარე წლის 19 მარტს 18 საათზე.

**თამაზ შილაკაძე,**
საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

# ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე მარიამ შენგელია წარდგება!

**კონკურსში მონაწილეობის სურვილი 18-მა ქართველმა შემსრულებელმა გამოთქვა და საკუთარი ნამუშევარი წარადგინა. პირველ არხს ასევე სიმღერა გამოუგზავნა 20-ზე მეტმა უცხოელმა კომპოზიტორმა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არჩევანი ქართული მოტივებით და ეროვნული ელემენტებით დატვირთულ პროექტზე შეაჩერა, რომელიც საერთაშორისო კონკურსზე ზუსტად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის კულტურულ იდენტობას.**



მარიამ შენგელია პირველი არხის ორი პროექტის – „საქართველოს ვარსკვლავის“ და „ვოისის“ მონაწილეა. მომღერალი 2020 წელს ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენლის თორნიკე ყიფიანის ბექვოკალისტი იყო. კონკურსი კოვიდპანდემიის გამო გაუქმდა.

სიმღერა Freedom (თავისუფლება) ქეთი გაბისიანმა დაწერა, ხოლო ტექსტი ბუკა კარტოზიას ეკუთვნის. მუსიკალური კლიპი კახა ბუხრაშვილმა გადაიღო.

ევროვიზია 2025 – შვეიცარიის ქალაქ ბაზელში 13, 15 და 17 მაისს გაიმართება. საქართველოს წარმომადგენელი, მარიამ შენგელია ევროპის წინაშე 15 მაისს მეორე ნახევარფინალში წარდგება.



# ახალი ვარსკვლავი ბაბლუანების ოჯახიდან

### ნასტასია ლეგრანი – პარიზის მოდის კვირეულის აღმოჩენა

**პარიზის მოდის კვირეულზე 2025 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციების წარმდგენ ტოპ 22 მოდელს შორის ნახევრად ქართველი მოდელი – ნასტასია ლეგრანი მოხვდა. ნასტასია მსახიობისა და ტელეწამყვანის ოლგა ბაბლუანის უმცროსი ქალიშვილი გახლავთ.**

# დონატელა ვერსაჩემ Versace-ს კრეატიული დირექტორის პოსტი დატოვა



**69 წლის დონატელა ვერსაჩე Versace-ს კრეატიული დირექტორის პოსტს ტოვებს, რომელსაც ის თითქმის 30 წლის განმავლობაში იკავებდა. ინფორმაციას BBC ავრცელებს.**

დონატელამ Versace-ს კრეატიული დირექტორის პოსტი 1997 წელს დაიკავა, მისი ძმის ჯანი ვერსაჩეს მკვლელობის შემდეგ. მის ადგილს დარიო ვიტალე დაიკავებს, რომელიც Miu Miu-ს დიზაინის მიმართულებას კურირებდა. გავრცელებული ინფორმაციით, დონატელა საქველმოქმედო საქმიანობით დაკავდება.

მოდის სახლი Versace მილანში 1978 წელს დაარსდა დონატელასა და მისი ძმების – სანტოსა და ჯანის მიერ. 2018 წელს Versace 2 მილიარდ დოლარად Michael Kors-მა იყიდა, რომელიც 2018 წელს Capri Holdings-ში გაერთიანდა.

# რა შეიძლება ღირდეს ტადაო ანდოს ფიროსმანის მაგიდა?!

**ტადაო ანდოს ნამუშევარს „ფიროსმანის მაგიდა“, რომელიც ხელოვნების, კონცეპტუალური მინიმალიზმისა და პოეტური სიმბოლიზმის არნახული ნაზავია, სამუზეუმო დაწესებულებები და კოლექციონერები აკვირდებიან.**

ნამუშევარი აკრილის კუბებში ჩასმული 564 ლურჯი ვარდისგან და 164 ცარიელი კუბისგან შედგება. კუბი ერთდროულად როგორც დამცავ ჭურჭელს, ასევე მდუმარე სამარეს განასახიერებს; ლურჯი ვარდი კი – წარმავალი სილამაზის მარადისობასა და ჭკნობას შორის იდუმალ ბალანსს წარმოაჩენს.

„ფიროსმანის მაგიდა“ უბრალოდ სკულპტურა როდია – ის ემპირიული გარემოა, რაც მას ხელოვნების ნიმუშების ისეთივე კატეგორიაში აყენებს, როგორებიცაა მონეს Water Lilies („წყლის შროშანები“) ან იაიოი კუსამას Infinity Rooms („უსასრულობის ოთახები“).



ტადაო ანდოს წინასწარმეტყველური სკულპტურის Blue Rose in the Cube Study 1-მა, „ფიროსმანის მაგიდის“ პროტოტიპმა – კრისტის აუქციონზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავდაპირველად 10,000-15,000 ევროდ შეფასებულმა ნამუშევარმა ფსონების ომი გამოიწვია და საბოლოოდ – 88,200-ად, ანუ მისი წინასწარი შეფასების ზედა ნიშნულზე თითქმის ექვსჯერ მეტად გაიყიდა.

თუ ერთი ექსპერიმენტული ვერსია კრისტის აუქციონზე 88,200-ად შეფასდა, მაშინ ამ მასშტაბის (700-ზე მეტი ელემენტისგან შემდგარი) ნამუშევრის ფასი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იქნება.

**აუქციონების ან სამუზეუმო დაწესებულების მიერ გამოთქმული სავარაუდო ფასი ასეთია:**

**დაბალი შეფასება: 10-13 მილიონი ევრო (12-15 მილიონი დოლარი) (დღეს რომ გავიდეს აუქციონზე).**

**მაღალი შეფასება: 25-30 მილიონი ევრო (30-40 მილიონი დოლარი).**

კრისტის აუქციონზე Blue Rose in the Cube Study 1-ის მიმართ საყოველთაო გამოხმაურება ცხადყოფს, რომ ტადაო ანდოს სკულპტურული მემკვიდრეობა ახალ ფაზაში შედის, რომელიც არქიტექტურაზე მის უდიდეს გავლენას ცდება. „ფიროსმანის მაგიდა“ დღეს რომ გასულიყო აუქციონზე, მის მიმართ მოლოდინი და შეძენის მოსურნეთა ცილობა ათწლეულის მოვლენად იქცეოდა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 მარტს